პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი | № 44 (10130) | სამშაბათი, 22 თებერვალი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ამომრჩეველთა შეხვედრა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან ამხ. ვ. პ. მჟავანაძესთან (1-ლი გვერდი).

რუსეთის პირველი რევოლუციის 50-ე წლისთავისათვის. — ს. რიჟინაშვილი. — საიუბილეო დღეები მოსკოვში (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).

მიმართვა გამომცემლობათა და პოლიგრაფიული მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირის მონაწილეებისა გამომცემლობათა, პოლიგრაფიის, წიგნის ვაჭრობის, ქაღალდის, მანქანათმშენებელი, ქიმიური, საფეიქრო მრეწველობის ყველა მუშაკისადმი (მე-2 გვერდი).

საკდესი უარყოფს (მე-2 გვერდი).

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის [illegible] (მე-2 გვერდი).

ამომრჩეველთა წერილები. — ზრდისა და შემოქმედებითი შრომის წლები (მე-3 გვერდი).

კინო. — ე. უბილავა. — ფილმი საბჭოთა მეტალურგებზე (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

საქართველოს რესპუბლიკა საბჭოების არჩევნების წინ

საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ვითარებაში ემზადებიან საბჭოების არჩევნებისათვის. ქალაქად და სოფლად სულ ახალი და ახალი ძალით ჩაღდება არჩევნების აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. ამჟამად საწარმოებსა და კოლმეურნეობებში, აგიტპუნქტებში იმართება ამომრჩეველთა შეხვედრები დეპუტატობის კანდიდატებთან. ერთსულოვნებისა და დარაზმულობის ვითარება, რომელშიც შეხვედრები მიმდინარეობს, მკაფიოდ მოწმობს კომუნისტებისა და უპარტიოების საარჩევნო ბლოკის ცხოველმყოფელობას, საბჭოთა საზოგადოების ურღვევ მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას.

საბჭოთა ადამიანები რწმენით, იმედით მიჰყვებიან კომუნისტურ პარტიას, ხედავენ რა მასში სოციალისტური საზოგადოების ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალას. ისევე როგორც წინა არჩევნებში, მომავალ არჩევნებშიც კომუნისტური პარტია გამოდის ბლოკში უპარტიოებთან ერთად. კომუნისტებმა უპარტიოებთან ერთად დაასახელეს დეპუტატობის კანდიდატები და ახლა ერთად აწარმოებენ აგიტაციას თავიანთი კანდიდატების სასარგებლოდ. სწორედ ამაშია ცხოველმყოფელობა კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკისა, რომელიც კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და მთელი ჩვენი ხალხის დიადი ერთიანობის ნათელი გამოხატულებაა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად წამოყენებული არიან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები, წარმოების ნოვატორები და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, სახელოვანი საბჭოთა არმიის მეომრები. ღირსეულთა შორის ღირსეული ადამიანები დასახელებული არიან აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოებისა და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებად.

არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობს უმაგალითო პატრიოტული აღმავლობის დღეებში, როცა საბჭოთა ხალხი ახალი შრომითი საქმეებით უპასუხებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებებს. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, უდიდესი აღფრთოვანებით იწონებენ ამ გადაწყვეტილებებს, მხურვალედ უჭერენ მხარს კომუნისტური პარტიის მიერ გამომუშავებულ პოლიტიკას, რომლის განუხრელად განხორციელება უზრუნველყოფს სოციალისტური სამშობლოს შემდგომ აყვავებას, ხალხის კეთილდღეობის განუწყვეტელ აღმავლობას.

საბჭოთა ადამიანების ნება შესანიშნავად გამოხატა თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის მოწინავე ზეინკალმა ნ. დაბრუნდაშვილმა, რომელმაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებების გაცნობის შემდეგ თქვა:

— ჩვენს ძალებსა და შრომას არ დავზოგავთ იმისათვის, რომ მომავალშიც მთელი თანმიმდევრულობით განვახორციელოთ კომუნისტური პარტიის გენერალური ხაზი — მძიმე მრეწველობის, სოციალისტური ეკონომიკის ამ საფუძველთა საფუძვლის ყოველმხრივი განვითარების ხაზი. ჩვენმა ხალხმა იცის, რომ მხოლოდ მძიმე მრეწველობის განუხრელი აღმავლობა წარმოადგენს სახალხო მეურნეობის ყველა სხვა დარგის, მათ შორის სოფლის მეურნეობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის განვითარების გადამწყვეტ პირობას.

დიდი ყურადღებით ეცნობიან საბჭოთა ადამიანები სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი განვითარების პროგრამას, რომელიც მოცემულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებაში და აბახანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში, ერთსულოვნად იწონებენ საბჭოთა ხალხმწიფოს ბრძნულ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რომელიც ზუსტად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიაზე ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის სიტყვაში და ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის მოხსენებაში.

— მთელი ძალები სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებების შესასრულებლად! — ამ ლოზუნგით შრომობს ახლა საბჭოთა ხალხი. პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღონ საagიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა ამომრჩეველთა შორის, შემდგომ აამაღლონ მასების შრომითი აქტივობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანების შესასრულებლად. დაე კიდევ უფრო მგზნებარედ და შთამაგონებლად გაისმოდეს აგიტატორთა მომწოდებელი სიტყვა.

არჩევნებამდე მხოლოდ ხუთი დღე დარჩა! ეს დრო იმისათვის უნდა გამოვიყენოთ, რომ ყოველი ღონისძიებით გავაძლიეროთ არჩევნებისათვის ორგანიზაციულ-ტექნიკური მზადება. საჭიროა შემოწმდეს ამომრჩეველთა სიების სისწორე, წესრიგზე იქნას მოყვანილი ხმის მისაცემი ოთახები. აუცილებელია გამოვარკვიოთ — ყველა საუბნო კომისია მომარაგებულია თუ არა საარჩევნო ბიულეტენებითა და კუთებით, აქვს თუ არა ხმის მიცემის ოქმის ბლანკები, ბეჭდები, ლუქი და საკანცელარიო ხელსაწყოები. უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ყველა საარჩევნო უბანში იყოს გათბობა და განათება. დიდი მნიშვნელობა აქვს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შორის მოვალეობათა მოფიქრებულად და საზრიანად განაწილებას. კომისიის თვითეულმა წევრმა უნდა იცოდეს თავისი მოვალეობა არჩევნების დღეს.

არჩევნებთან დაკავშირებით დიდი მუშაობა უნდა გასწიონ კავშირგაბმულობის მუშაკებმა. საჭიროა საქმე ისე მოეწყოს, რომ არჩევნების დღეებში უზრუნველყოფილ იქნას კავშირგაბმულობის მთელი ქსელის შეუფერხებელი, სანიმუშო მუშაობა.

ადგილობრივი საბჭოებისა და საოლქო საარჩევნო კომისიების მოვალეობაა კვლავ და კვლავ შეამოწმონ — ყველაფერი მზად არის თუ არა არჩევნებისათვის. ეს მით უფრო საჭიროა, რომ, როგორც ფაქტები მოწმობენ, გუდაუთის, ხაშურის, ზორჯომისა და მთელი რიგი სხვა რაიონების ცალკეულ საარჩევნო უბნებში უკანასკნელ დრომდე არ იყო დაზუსტებული ამომრჩეველთა სიები. ამომრჩეველთა სია მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომლის მიხედვით საბჭოთა მოქალაქეები ახორციელებენ თავიანთ საარჩევნო უფლებას. ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა და საუბნო საარჩევნო კომისიებმა ყველა ზომა უნდა მიიღონ იმისათვის, რომ ერთხელ კიდევ შეამოწმონ ამომრჩეველთა სიები და საბოლოოდ დააზუსტონ ისინი. ყოველივე ეს არათუ არ ამცირებს, არამედ კიდევ უფრო ზრდის პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობას. ისინი მოვალენი არიან შეუსუსტებელ ყურადღებას აქცევდნენ არჩევნებისათვის ორგანიზაციულ-ტექნიკურ მზადებას. არჩევნების ორგანიზებულად და მაღალ იდეურ დონეზე ჩატარება ადგილობრივი საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

საქართველოს მშრომელები საბჭოების არჩევნებს ეგებებიან მჭიდროდ დარაზმულნი მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო. ჩვენი ხალხის უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აქტივობა იმის საწინდარია, რომ საბჭოების მომავალი არჩევნები კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის ახალი ბრწყინვალე გამარჯვება იქნება.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ე. ო. პატონის სახელობის ელექტროშედუღების ინსტიტუტის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ე. ო. პატონის სახელობის ელექტროშედუღების ინსტიტუტის შექმნის მეოცე წლისთავთან დაკავშირებით და ელექტროშედუღების განვითარების საქმეში მისი თვალსაჩინო დამსახურების აღსანიშნავად, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ე. ო. პატონის სახელობის ელექტროშედუღების ინსტიტუტი დაჯილდოებულ იქნას **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1955 წ. 19 თებერვალი.

ამომრჩეველთა შეხვედრა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან ამხ. ვ. პ. მჟავანაძესთან

21 თებერვალს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა თბილისის ენგელსის № 26 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეხვედრა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან ამხ. ვასილ პავლეს-ძე მჟავანაძესთან.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ბ. მეფარიშვილმა. მან ილაპარაკა იმ უდიდეს პოლიტიკურ და შრომითს აღმავლობაზე, რაც გამოიწვიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებებმა, იმ წარმატებებზე, რითაც ხვდებიან მშრომელები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეს.

სიტყვა ეძლევა ნდობით აღჭურვილ პირს სტალინური პრემიის ლაურეატს პოეტ გ. აბაშიძეს.

— არჩევნებისათვის მზადების სასიხარულო დღეებს განიცდიან ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, — თქვა მან. — ისინი, აღფრთოვანებულნი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებებით, რომელთა მიზანია ჩვენი ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება, კომუნიზმის მშენებლობის დაჩქარება, ძალღონის დაუზოგავად თავდადებით შრომობენ საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების მომავალი არჩევნებისათვის აქტიური მზადება მოწმობს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა მტკიცე დარაზმულობას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო. მათ თავიანთ კანდიდატებად დასახელეს ხალხის ღირსეული შვილები — ერთგული პატრიოტები. კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის ღირსეული კანდიდატია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვასილ პავლეს-ძე მჟავანაძე.

ნდობით აღჭურვილი პირი მოუწოდებს ამომრჩევლებს არჩევნების დღეს — 27 თებერვალს ერთსულოვნად მისცენ ხმა ამხ. ვასილ პავლეს-ძე მჟავანაძეს.

ტრიბუნაზეა თბილისის ელექტრომექანიკური ქარხნის მოწინავე ზეინკალი პ. ლევშინი.

— კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, — ამბობს იგი, — საბჭოთა ხალხმა უდიდესი წარმატებები მოიპოვა. ჩვენი სამშობლო ოდესღაც ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სოციალისტურ სახელმწიფოდ. საბჭოთა ხალხი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ჩვენი სამშობლო იყოს უფრო მძლავრი და ძლევამოსილი. კომუნისტური მშენებლობის წარმატებებში თავისი წვლილი შეაქვს საქართველოს მშრომელებსაც. არჩევნების დღეს საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, მჭიდროდ დარაზმულნი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო ხმას მისცემენ კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის ღირსეულ კანდიდატებს. ამ დღეს ჩვენ ხმას მივცემთ კომუნიზმის გამარჯვებას, მთელი მსოფლიოს მშვიდობას.

სიტყვა ეძლევა ახალგაზრდა ამომრჩეველს 47-ე საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეს მ. შარიქაძეს. იგი ლაპარაკობს იმ უდიდესი მზრუნველობის შესახებ, რასაც ახალგაზრდობისადმი იჩენენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, ახალგაზრდობის მზადყოფნაზე შემოქმედებითი შრომით შეიტანოს თავისი წვლილი საყვარელი სამშობლოს შემდგომი აყვავების საქმეში.

სიტყვას ამბობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი ქ. ლომთათიძე.

— ჩვენი დიდი სამშობლოს ხალხები, — ამბობს იგი, — კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით უდიდეს წარმატებებს აღწევენ კომუნისტურ მშენებლობაში. განუწყვეტლივ ვითარდება მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საბჭოთა მეცნიერება, რომელიც სამშობლოსა და ხალხის ინტერესებს ემსახურება. საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში ჩვენი ქვეყნის ყველა მეცნიერთან ერთად თავიანთი წვლილი შეაქვთ ქართველ მეცნიერებს, რომლებიც მზად არიან კვლავაც თავდადებით იშრომონ საყვარელი საბჭოთა სამშობლოს საკეთილდღეოდ. 27 თებერვალს ჩვენ, როგორც ერთი, ხმას მივცემთ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის ღირსეულ კანდიდატებს.

პატრიოტული სიტყვა წარმოთქვა თბილისის 68-ე საშუალო სკოლის პედაგოგმა მ. გიორგაძემ.

დასასრულ სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ, რომელსაც გულთბილად შეხვდნენ. მან მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს ნდობისათვის.

(საქდესი).

დაიხუჭა გამომცემლობებისა და პოლიგრაფიული მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი

19 თებერვალს მუშაობა დაამთავრა გამომცემლობებისა და პოლიგრაფიული მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირმა, რამაც ექვს დღეს გასტანა. თათბირში მონაწილეობა მიიღეს გამომცემლობების, პოლიგრაფიული საწარმოებისა და იმ სამრეწველო სამინისტროების წარმომადგენლებმა, რომლებიც პოლიგრაფიული მრეწველობისათვის აწარმოებენ მასალებსა და მოწყობილობას, მხატვრებმა, მწერლებმა და წიგნის ვაჭრობისა და ბიბლიოთეკების მუშაკებმა; თათბირს დაესწრნენ სახალხო დემოკრატიის მთელი რიგი ქვეყნების დელეგაციები.

თათბირზე ყოველმხრივ განიხილეს სსრ კავშირში წიგნის გამოცემის საქმის მდგომარეობისა და მისი განვითარების პერსპექტივების, წიგნის წარმოების კულტურის, ქაღალდისა და პოლიგრაფიული მოწყობილობის გამოშვების გაფართოების და გამომცემლობებისა და პოლიგრაფიული საწარმოებისათვის კადრების მომზადების საკითხები.

მოხსენებათა გამო კამათის დროს და სექციების სხდომებზე თათბირის მონაწილეები გამოვიდნენ ბევრი კრიტიკული შენიშვნით სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, მისი მთავარი სამმართველოების, გამომცემლობებისა და სტამბების მიმართ. გაკრიტიკებულ იქნა აგრეთვე სსრ კავშირის ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის, მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის, ქიმიური მრეწველობისა და ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროების საქმიანობა. შეტანილია ბევრი ძვირფასი წინადადება, რომელთა განხორციელებაც დაგვეხმარება არა მარტო აღმოვფხვრათ საგამომცემლო საქმეში არსებული ნაკლოვანებანი, არამედ კიდევაც ავამაღლოთ გამომცემლობათა მუშაობის საერთო დონე, გავაუმჯობესოთ წიგნების თემატიკა, შინაარსი და მათი გაფორმება.

სსრ კავშირის კულტურის მინისტრის გ. თ. ალექსანდროვის საბოლოო სიტყვის შემდეგ სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა პ. ნ. პოსპელოვმა, რომელიც მონაწილეობას იღებდა თათბირის მუშაობაში.

ერთსულოვნად მიღებულ იქნა მიმართვა გამომცემლობების, პოლიგრაფიის, წიგნის ვაჭრობის, ქაღალდის, მანქანათმშენებლობის, ქიმიური და საფეიქრო მრეწველობის ყველა მუშაკისადმი. (საკდესი).

ჯიუმენის ოლქის კოლმეურნეობებმა სელის ბოჭკოს, ქერელის ბოჭკოს, საბოჭკოე სელისა და კანაფის თესლის ჩაბარების გეგმა შეასრულეს

ტიუმენის ოლქის კოლმეურნეობებმა შეასრულეს მათთვის დაწესებული სახელმწიფო გეგმები — სელის ბოჭკოს დამზადებისა 100,4 პროცენტით, საბოჭკოე სელის თესლისა — 160,9 პროცენტით, ქერელის ბოჭკოსი — 104 პროცენტით და კანაფის თესლისა — 167,4 პროცენტით.

სახელმწიფოს ჩაბარდა სელის ბოჭკო 2,5 ათასი ცენტნერით, საბოჭკოე სელის თესლი 4,8 ათასი ცენტნერით და კანაფის თესლი 1,9 ათასი ცენტნერით მეტი, ვიდრე ამ თარიღისათვის 1954 წელს. საბოჭკოე სელისა და კანაფის პროდუქციის ჩაბარება გრძელდება.

გაიხსნა ახალი საერთაშორისო საკინიგზო ხაზი მოსკოვი-ბერლინი

ბელორუსიის ვაგზლის ლიანდაგზე დგას რკინიგზის შემადგენლობა. ვაგონებზე არის ლითონის ტაბულები, რომლებსაც რუსულ, პოლონურ და გერმანულ ენებზე აწერია — „მოსკოვი-ბერლინი“. ამ მარშრუტით 19 თებერვალს, 14 საათსა და 10 წუთზე გავიდა პირდაპირი მიმოსვლის პირველი ჩქარი მატარებელი. ამ რეისით დაიწყო რეგულარული პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დედაქალაქებს შორის.

ახალი ხაზით ივლის ექვსი შემადგენლობა, რომელიც შედგება მთლიანი ლითონის რბილი ვაგონებისაგან ორადგილიანი კუპეებით და კუპირებული ვაგონებისაგან.

მატარებელი ბერლინში მიდის მოსკოვ-სმოლენსკ-ბრესტ-სედლეც-ვარშავა-პოზნან-ოდერის ფრანკფურტის მარშრუტით. მოსკოვიდან მატარებელი გავა ყოველდღე 14 საათსა და 10 წუთზე, ხოლო მოსკოვში მოვა 18 საათსა და 40 წუთზე, ბერლინს ჩავა 16 საათსა და 09 წუთზე. ბერლინიდან მოსკოვისაკენ მატარებელი გამოვა 16 საათზე მოსკოვის დროით. მთელ გზას მოუნდება ორ დღეღამეზე ცოტა მეტი. გათვალისწინებულია კვირაში ოთხჯერ მატარებელს დამატებით მიეკას ერთი ვაგონი ვარშავამდე. (საკდესი).

რუსეთის პირველი რევოლუციის 50-ე წლისთავისათვის

საიუბილეო დღეები მოსკოვში

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მოსკოველები ფართოდ აღნიშნავენ რუსეთის პირველი რევოლუციის 50-ე წლისთავს. დედაქალაქის ფაბრიკა-ქარხნებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში, კლუბებში, კულტურის სასახლეებში, საარჩევნო უბნებსა და ამომრჩეველთა ბინებში იმართება 1905-1907 წლების რევოლუციის ამბებისადმი მიძღვნილი საღამოები, ლექციები და საუბრები.

რკინიგზის რაიონში ტაქს-მოტორთა მერვე პარკის აგიტატორებმა საინტერესო ექსკურსიები მოაწყეს მოსკოვის იმ ადგილებში, სადაც რევოლუციური ბრძოლები იმართებოდა 1905 წელს.

რაიონის აგიტატორებმა საუბრები მოაწყეს მოსკოვ-რიაზანის რკინიგზის საწარმოებში, ბაბაევის სახელობის ფაბრიკაში, ფაბრიკა „ბოლშევიჩკაში“ და ბევრ სხვა საწარმოში. რკინიგზელთა კულტურის ცენტრალურ სახლში გაიმართა რუსეთის პირველი რევოლუციისადმი მიძღვნილი საღამო. ამ თემისადმი მიძღვნილი სტატიები წაიკითხეს „კრასნი ოკტიაბრის“ აგიტატორებმა. მათ მსმენელებს წაუკითხეს აგრეთვე ნაწყვეტები მხატვრული ნაწარმოებებიდან. ამავე ფაბრიკაში მოწყობილია 1905-1907 წლების ამბებისადმი მიძღვნილი ლიტერატურის გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილია ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ნაწარმოებები, წიგნები ისეთი შესანიშნავი რევოლუციონერების შესახებ, როგორიც იყვნენ ი. ბაბუშკინი და ნ. ბაუმანი, მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებები. ყურადღებას იპყრობს მოგონებათა კრებული „ზამოსკვორეჩიე 1905 წელს“, რომელსაც აქვს სპეციალური თავი „ეინემის ფაბრიკა“ (ახლანდელი „კრასნი ოკტიაბრი“, რომლის პროდუქცია განთქმულია მთელ ჩვენს ქვეყანაში).

ამ ისტორიული თარიღისადმი მიძღვნილი გაერთიანებული სხდომა პროფესორების, მასწავლებლებისა და სტუდენტების მონაწილეობით გამართეს მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის და მარქსიზმ-ლენინიზმის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის პარტიულმა კომიტეტებმა და მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრების სამეცნიერო საბჭოებმა.

სხდომაზე მოსმენილ იქნა პროფესორ მაურერის მოხსენება 1905-1907 წლების რევოლუციის მამოძრავებელი ძალების შესახებ. ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატმა დოცენტმა პატრიკეევმა გააკეთა მოხსენება რუსეთის პირველ რევოლუციაში ბოლშევიკების სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ. დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი 1905-1907 წლების რევოლუციური ამბების მონაწილეთა გამოსვლები.

ამ დაუვიწყარი წლებისადმი მიძღვნილი ლექციების ციკლი მოაწყო ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ პარტკომის ბიბლიოთეკამ. საწარმოს საამქროებში გამოვიდა რუსეთის პირველი რევოლუციის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კედლის გაზეთების სპეციალური ნომრები.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ქარხანა „კრასნი პროლეტარში“ თავდადებით შრომობს სამი რევოლუციის ერთერთი მონაწილე ნიკოლოზ ივანეს-ძე ივანოვი. ამ ძველი ზეინკლის სახელი პოპულარულია ქარხნის მუშებში.

მოსკოვში მოეწყო რუსეთის პირველი რევოლუციის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი მთელი რიგი საღამოები. დედაქალაქის გაზეთების, ჟურნალებისა და გამომცემლობების მუშაკები ამას წინათ ჟურნალისტთა ცენტრალურ სახლში შეხვდნენ 1905 წლის რევოლუციის მონაწილეებს.

1905 წლის რევოლუციის მონაწილეთა ჯგუფი გამოვიდა ხელოვნების მუშაკთა ცენტრალურ სახლში, სადაც საღამოს დასასრულს აჩვენეს ფილმი „ჯავშნოსანი პოტიომკინი“.

რუსეთის პირველი რევოლუციის 50-ე წლისთავს აღნიშნავს ვ. ი. ლენინის სახელობის სსრ კავშირის სახელმწიფო ბიბლიოთეკა, რომელიც ამზადებს მთელ რიგ გამოფენებს, სადაც თანმიმდევრულად გაშუქებული იქნება 1905-1907 წლების რევოლუციის ამბები. პირველი გამოფენა გაიხსნება ამ დღეებში. იგი მიძღვნილია რუსეთის პირველი რევოლუციის — იმპერიალიზმის ეპოქის პირველი რევოლუციის დასაწყისისადმი.

ვ. ი. ლენინის სახელობის ბიბლიოთეკის გამოფენაზე წარმოდგენილია საინტერესო მასალები, რომლებიც მოგვითხრობენ რუსეთის პირველი რევოლუციის საერთაშორისო მნიშვნელობაზე, აგრეთვე მხატვრული ლიტერატურის სხვადასხვა ნაწარმოებნი.

მნახველები დიდი ინტერესით ეცნობიან ექსპონატებს იმ გამოფენაზე, რომელიც სახელმწიფო საჯარო ისტორიულმა ბიბლიოთეკამ მოაწყო ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით. გამოფენაზე წარმოდგენილია ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ნაწარმოებები, დოკუმენტების ფოტოპირები და კრებულები, სხვადასხვა წიგნები, ჟურნალები და ილუსტრაციები.

გამოფენის სპეციალური განყოფილება მიძღვნილია დეკემბრის შეიარაღებული აჯანყებისადმი. აქ ყურადღებას იპყრობს გაზეთ „პროლეტარის“ ის ნომერი, რომელშიც მოთავსებული იყო ვ. ი. ლენინის სტატია „მოსკოვის აჯანყების გაკვეთილები“. მნახველები დიდი ინტერესით ათვალიერებენ მოსკოვის გეგმას, რომელზეც აღნიშნულია დეკემბრის დღეების საბარიკადო ბრძოლების ადგილები.

ისტორიული ბიბლიოთეკის გამოფენის სხვა განყოფილებებში თავმოყრილი მასალებით მნახველები ეცნობიან რევოლუციურ ამბებს, რომლებიც იმ დაუვიწყარ წლებში მოხდა რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში და რაიონებში. გარდა ამისა, აქვე შეკრებილია მასალები, რომლებიც ცხადყოფენ რუსეთის პირველი რევოლუციის მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას.

ს. რიჟინაშვილი,

„კომუნისტის“ კორესპონდენტი.

მ ი მ ა ა რ თ ვ ა

გამომცემლობათა და პოლიგრაფიული მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირის მონაწილეებისა

გამომცემლობათა, პოლიგრაფიის, წიგნის ვაჭრობის, ქაღალდის, მანქანათმშენებელი, ქიმიური, საფეიქრო მრეწველობის ყველა მუშაკისადმი

ამხანაგებო!

საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის მეთაურობით წყვეტს სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის გრანდიოზულ ამოცანებს. ჩვენი ხალხის შემოქმედებითი საქმიანობა გაცისკროვნებულია მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების ჩაუქრობელი შუქით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ მოუწოდეს საბჭოთა ხალხს ყოველი ღონისძიებით შემდგომ განავითაროს მძიმე ინდუსტრია, რომელიც მუდამ იყო და არის ჩვენი სამშობლოს ძლიერების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საფუძველი, მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი ზრდისა და განმტკიცების საფუძველი, უზრუნველყოფს სოციალისტური სოფლის მეურნეობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის განვითარებას და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისწყაროა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებებში დასახულია ამოცანა უახლოეს 5-6 წელიწადში მარცვლეულია ყოველწლიური მოსავალი აყვანილ იქნას სულ ცოტა 10 მილიარდ ფუთამდე და მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების წარმოება გადიდდეს ერთიორად და უფრო მეტად.

ჩვენს ქვეყანაში წლითიწლობით დიდდება საზოგადოებრივი სიმდიდრე, უმჯობესდება მშრომელთა კეთილდღეობა, მაღლდება ხალხის კულტურული დონე.

წიგნი კულტურის მძლავრი იარაღია. იგი აიარაღებს საბჭოთა ადამიანებს მეცნიერების კანონების, კომუნისტური პარტიის პოლიტიკის ცოდნით, ამდიდრებს მათ სოციალიზმის მშენებლობის გამოცდილებით, უფართოებს ჰორიზონტს, რაზმავს მათ კომუნიზმის აშენებლობის დიადი ამოცანების შესასრულებლად. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ყველა პირობა შექმნეს წიგნის გამოცემის საქმის წარმატებით განვითარებისათვის. ჩვენს ქვეყანაში წლითიწლობით დიდდება პოლიტიკური, მეცნიერული, მხატვრული, საწარმოო-ტექნიკური და სხვა ლიტერატურის გამოშვება.

1954 წელს საბჭოთა კავშირში გამოშვებული წიგნების საერთო ტირაჟი ბილიარდამდე ცალს შეადგენდა, რაც ერთიორად და უფრო მეტად აღემატება 1940 წლის დონეს და 11-ჯერ — წიგნების გამოცემას რევოლუციამდელ რუსეთში. 1954 წელს გამოშვებულია 130 მილიონი ცალი მასობრივ-პოლიტიკური ლიტერატურა, 234 მილიონი ცალი მეცნიერული და საწარმოო-ტექნიკური ლიტერატურა, 259 მილიონი ცალი სასწავლო, 118 მილიონი ცალი მხატვრული და 117 მილიონი ცალი საბავშვო ლიტერატურა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში სსრ კავშირში გამოცემულია 17 მილიარდ ცალზე მეტი წიგნი, მათ შორის მილიარდ ცალზე მეტი მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებნი.

ლენინურ-სტალინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ თავისი მკაფიო გამოხატულება ჰპოვა სსრ კავშირის ყველა ხალხის კულტურის ზრდით. საბჭოთა კავშირში არ არის ისეთი ხალხი, რომელიც არ უშვებდეს წიგნებს თავის მშობლიურ ენაზე. მხატვრული ლიტერატურა გამოდის სსრ კავშირის ხალხთა 70 ენაზე, მათ შორის იმ ხალხების 19 ენაზე, რომლებსაც ოქტომბრის რევოლუციამდე თავიანთი დამწერლობა არ ჰქონიათ.

ავითარებს რა ჩვენს ქვეყანაში წიგნის გამოცემის საქმეს, კომუნისტურმა პარტიამ აღზარდა გამომცემლობებისა და პოლიგრაფიული საწარმოების მაღალკვალიფიციურ მუშაკთა მრავალრიცხოვანი კადრები. გაიზარდა წიგნის გამოცემის საქმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა — სტამბები, ქაღალდის ფაბრიკები, შრიფტის ჩამოსასხმელი და საღებავების ქარხნები, პოლიგრაფიული მანქანათმშენებლობა. საკავშირო დაქვემდებარების პოლიგრაფიულ საწარმოთა პროდუქცია 1940-დან 1954 წლამდე 3,2-ჯერ გადიდდა. გაფართოვდა და განმტკიცდა პოლიგრაფიული ბაზა მოკავშირე რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში. პარტია და მთავრობა დიდად ზრუნავენ პოლიგრაფიული ბაზის შემდგომი განვითარებისათვის. მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებულია 1954-1960 წლებში პოლიგრაფიული მრეწველობის სამძლავრე გადიდდეს 2,5-ჯერ, ხოლო ფერადი ბეჭდვის დარგში — თითქმის 3-ჯერ. ამავე პერიოდში უნდა აშენდეს და რეკონსტრუირებულ იქნას 340 პოლიგრაფიული საწარმო. 1955-1956 წლებში ამუშავდება დიდი პოლიგრაფიული კომბინატები იაროსლავლში, კალინინში, მინსკში, სარატოვში.

წიგნის გამოცემის განვითარებაში მოპოვებული წარმატებები უფლებას არ აძლევს გამომცემლობებისა და პოლიგრაფიული მრეწველობის მუშაკებს დაკმაყოფილდნენ ამით. გამომცემლობები ჯერ კიდევ ცუდად აკმაყოფილებენ მკითხველთა მოთხოვნილებებს პოლიტიკურ ლიტერატურაზე, ცოდნის სხვადასხვა დარგის წიგნებზე, წიგნებზე სამრეწველო წარმოებისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორთა მოწინავე გამოცდილების შესახებ. ჯერ კიდევ ცოტა გამოდის საცნობარო ლიტერატურა, საკმაო რაოდენობით არ გამოდის მხატვრული და საბავშვო ლიტერატურა.

ბევრი წიგნი თავისი შინაარსით არ შეესაბამება მეცნიერების თანამედროვე მდგომარეობას. მხატვრული ლიტერატურის ზოგიერთი ნაწარმოები იდეური შინაარსით, ენითა და ფორმით არ შეესაბამება საბჭოთა მკითხველის გაზრდილ მოთხოვნებს. გამომცემლობები ხშირად უშვებენ უფერულ, დაუდევრად დაწერილ, ბოლომდე დაუმუშავებელ წიგნებს. ზოგიერთი მეცნიერული და საწარმოო-ტექნიკური გამოცემის მოცულობა უზომოდ დიდია, მათში ძალიან ბევრია აღწერილობითი მასალა და ცოტაა მეცნიერული დასკვნები. ზოგიერთი წიგნი ფილოსოფიის, სოციალურ-ეკონომიურ, სამართლის, ისტორიის თემებზე, ჯერ კიდევ იწერება მშრალი ენით, საკმაოდ არ არის დაკავშირებული კომუნისტური მშენებლობის სადღისო ამოცანებთან. ბევრ წიგნს არა აქვს საჭირო სამეცნიერო-საცნობარო აპარატი, გამოშვებული წიგნების მნიშვნელოვანი ნაწილის მხატვრული გაფორმება და პოლიგრაფიული შესრულება არადამაკმაყოფილებელია.

გამოშვებული ლიტერატურის ტირაჟების განსაზღვრა ხშირად არ შეესაბამება მკითხველთა ნამდვილ მოთხოვნილებას. ზოგ შემთხვევაში წიგნების ტირაჟი მეტისმეტად გადიდებულია. ამის შედეგად საწყობებში ჩაწოლილია წიგნები, სხვა შემთხვევებში წიგნების ტირაჟი შემცირებულია და ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას საჭირო ლიტერატურაზე.

სერიოზული ნაკლოვანებებია წიგნის ვაჭრობაში. ცუდად არის მოწყობილი ლიტერატურის გავრცელება სოფელ აგვილებში, მათ შორის ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში. წიგნის ვაჭრობის მუშაკები სუსტად იცნობენ და ცუდად სწავლობენ მოსახლეობის მოთხოვნილებებს.

პოლიგრაფიული მრეწველობის მუშაკები ვერ იყენებენ ყველა საწარმოო შესაძლებლობას წიგნების გამოშვების გასაუმჯობესებლად. ბევრ სტამბაში ნელა ეუფლებიან ახალ მოწყობილობასა და წარმოების მოწინავე ტექნოლოგიას, საკმაოდ არ ხდება შრომატევადი პროცესების მექანიზაცია, ნელა ვრცელდება შრომის მოწინავე მეთოდები, ცუდად არის მოწყობილი სოციალისტური შეჯიბრება შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და მაღალი ხარისხისათვის.

ჩვენ, სრულიად საკავშირო თათბირის მონაწილენი, მოვუწოდებთ გამომცემლობათა ყველა მუშაკს გააუმჯობესონ გამოცემათა იდეური, მეცნიერული და მხატვრული დონე. ჩვენ მოვუწოდებთ გამომცემლობათა მუშაკებს გააუმჯობესონ გამოცემა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურისა, რომელიც შემოქმედებითად უნდა დამუშავდეს კომუნისტური პარტიის ისტორიისა და თეორიის საკითხები, გაშუქდეს საბჭოთა საზოგადოების განვითარების კანონზომიერებანი. ეს ლიტერატურა პროპაგანდას უნდა უწევდეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას, რომლის მიზანია მძიმე ინდუსტრიის შემდგომი განვითარება, სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობა, სახალხო მოხმარების საგნების წარმოების გადიდება, საბჭოთა მეცნიერების, ხელოვნებისა და კულტურის განვითარება.

საჭიროა გავადიდოთ ისეთი წიგნებისა და ბროშურების გამოშვება, რომლებიც აშუქებენ საერთაშორისო მდგომარეობისა და სსრ კავშირის მთავრობის საგარეო პოლიტიკის საკითხებს, ძირითად ცვლილებებს საერთაშორისო ვითარებაში, გვიჩვენებენ სოციალიზმის, მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის ძალთა განუხრელ ზრდას, საბჭოთა კავშირის ბრძოლას მშვიდობისათვის, კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფისათვის, ისეთი წიგნებისა, რომლებიც ცხადყოფენ, რომ მშვიდობისათვის საფრთხეს წარმოადგენს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მმართველი წრეების აგრესიული პოლიტიკა.

კომუნისტური მშენებლობის ინტერესები მოითხოვენ, რომ გადიდდეს ლიტერატურის გამოცემა ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკისა და ბიოლოგიის უახლეს პრობლემებზე, მეცნიერების ყველა დარგში, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის. საბჭოთა მკითხველებს კუთვნილებად უნდა გაეხადოთ ყოველივე საუკეთესო, რაც კი შეუქმნია კაცობრიობას მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. ყოველი მეცნიერული წიგნი სავსებით უნდა შეესაბამებოდეს თანამედროვე მეცნიერებას მიღწევებს სსრ კავშირსა და უცხოეთში.

გამომცემლობებმა უნდა გააფართოონ მრეწველობისა და ტრანსპორტის საკითხებზე ლიტერატურის გამოშვება, რომელიც ხელს უწყობს ტექნიკურ პროგრესს, არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ აგრეთვე მსოფლიო მეცნიერების მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების დანერგვას სახალხო მეურნეობას ყველა დარგში, ხელს უწყობს მთელი საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების — სახალხო სიმდიდრის გადიდების საფუძვლის ზრდას.

დიდი ამოცანები დგას სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის გამოცემის დარგში. მნიშვნელოვნად უნდა გავაფართოოთ წიგნების, ბროშურების, პლაკატებისა და ფურცლების გამოშვება მეცნიერების მიღწევებსა და მოწინავე გამოცდილებაზე სოფლის მეურნეობაში, გავადიდოთ წიგნების, საცნობარო ლიტერატურის, პოპულარული ბროშურების გამოცემა მოსავლიანობის გადიდების, მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების, ზოოტექნიკის, საკვების წარმოებისა და მეცხოველეობის დარგში შრომის მექანიზაციის საკითხებზე.

სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის საერთა-სახალხო ბრძოლაში დიდია რესპუბლიკურ და საოლქო გამომცემლობათა როლი. მათი მოვალეობაა ძირეულად გააუმჯობესონ თავიანთი მუშაობა სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის გამოცემის დარგში, უფრო ღრმად ჩასწვდნენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა პროცესს და გააშუქონ სოფლის მეურნეობის საკითხები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კონკრეტული პირობების გათვალისწინებით.

საჭიროა გავადიდოთ სახელმძღვანელოებისა და სასწავლო ხელსაწყოების გამოშვება დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი სკოლისათვის, მივაღწიოთ სასწავლო ლიტერატურის შინაარსისა და გარეგნული გაფორმების გაუმჯობესებას.

მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა პოპულარიზაცია, მატერიალისტური მსოფლმხედველობის პროპაგანდის ამოცანა გამომცემლობებისაგან მოითხოვენ მნიშვნელოვნად გააფართოონ მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურის გამოშვება.

საჭიროა გამოვცეთ მხატვრული ლიტერატურის მეტი ნაწარმოებნი, რომლებიც მშრომელებს ზრდიან საბჭოთა პატრიოტიზმის, საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ხალხთა მეგობრობის განმტკიცების სულისკვეთებით, ეხმარებიან ბრძოლას ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ.

გამომცემლობათა მუშაკნი მოვალენი არიან განსაკუთრებით იზრუნონ ლიტერატურის გამოშვებაზე ბავშვებისა და ახალგაზრდობისათვის.

ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ ძირეულად გაუმჯობესდება გამომცემლობის საქმის ორგანიზაცია.

გამომცემლობათა მუშაკებმა ყოველი ღონისძიებით უნდა განავითარონ კრიტიკა და თვითკრიტიკა და რაც შეიძლება სწრაფად აღმოფხვრან სერიოზული ნაკლოვანებანი თავიანთ მუშაობაში. საჭიროა მოაწესრიგონ წიგნების გამოცემის დაგეგმვა, შეიმუშაონ უახლოეს წლებში წიგნების გამოშვების პერსპექტივული გეგმები, ამასთან უფრო სრულად გაითვალისწინონ მკითხველთა მოთხოვნილებანი.

ამხანაგო რედაქტორებო! გამოშვებული ლიტერატურის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლაში თქვენ საპატიო ადგილი გეკუთვნით! რათა თავი გაართვათ თქვენს წინაშე მდგომ ამოცანებს, თქვენ დაუცხრომლად უნდა იმაღლებდეთ იდეურ-პოლიტიკურ დონეს, უფრო ღრმად ეუფლებოდეთ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, სრულყოფდეთ რედაქტორულ ოსტატობას.

ჩვენ მოვუწოდებთ გამომცემლობათა ყველა მუშაკს შეისწავლონ წიგნის გამოცემის საქმის ეკონომიკა, აღმოფხვრან უნაყოფო ხარჯები წიგნების შექმნასას, მომჭირნეობით ხარჯონ სახელმწიფო სახსრები, ქაღალდი და სხვა მასალები.

ამხანაგო მხატვრებო, სამხატვრო და ტექნიკურო რედაქტორებო! იბრძოლეთ წიგნების გაფორმებაში დაშყაყებულობის, უძრაობის, შტამპის წინააღმდეგ, გამოიყენეთ გაფორმების თანამედროვე ტექნიკური საშუალებანი, მიაღწიეთ პოლიტიკური, მეცნიერული, სასწავლო და მხატვრული ლიტერატურის კარგად გაფორმებულ გამოცემათა გამოშვებას. შეიმუშავეთ შრიფტის ახალი ნახატები ტექსტისათვის, ყდისათვის, თავფურცლისათვის და სხვ.

პოლიგრაფიულ საწარმოთა მუშაკებო! მოგიწოდებთ ყოველი ღონისძიებით გააუმჯობესოთ წიგნების პოლიგრაფიული შესრულება. შექმნათ ადვილსაკითხავი და მკვიდრი წიგნები; ფართოდ დანერგოთ ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია, გაიჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და მუშაობის მოწინავე მეთოდების გავრცელებისათვის.

მეცნიერების მუშაკებმა უნდა გააძლიერონ კვლევა გამომცემლობის საქმისა და პოლიგრაფიული ტექნიკის დარგში და წარმოების მუშაკებთან ერთად უზრუნველყონ მეცნიერების მიღწევათა ფართოდ დანერგვა გამომცემლობათა და პოლიგრაფიული მრეწველობის პრაქტიკაში. საჭიროა განვახორციელოთ პოლიგრაფიული მრეწველობის, პოლიგრაფიული მანქანათმშენებლობისა და ქაღალდის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მუშაობის კოორდინაცია, დავაჩქაროთ მასობრივი წიგნის წარმოების ახალი ხერხებისა და ახალი მოწყობილობის შემუშავება და დანერგვა პოლიგრაფიული წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის.

ჩვენ მოვუწოდებთ წიგნის ვაჭრობის, სამომხმარებლო კოოპერაციისა და „სიოუზპეჩატის“ მუშაკებს გულმოდგინედ შეისწავლონ მოსახლეობის მოთხოვნილებანი, ეცადონ სწორად განაწილდეს თვითეული წიგნის ტირაჟი, წიგნნი მიაღწიოს მკითხველამდე, ვისთვისაც იგი განკუთვნილია. უფრო ფართოდ შეიმოღონ პრაქტიკაში წიგნების გზავნა ორგანიზაციის „წიგნი ფოსტით“ განყოფილებათა მეშვეობით გააუმჯობესონ მყიდველთა მომსახურება, გააჩაღონ წიგნის პროპაგანდა და რეკლამა.

ამხანაგებო, პოლიგრაფიულ საწარმოთა მშენებლებო! უზრუნველყავით ახალი სტამბების მშენებლობა დაწესებულ ვადებში, გაჩაღეთ ახალმშენებლობებზე სოციალისტური შეჯიბრება სამშენებლო სამუშაოთა მაღალი ტემპისა და ხარისხისათვის, ხელი შეუწყეთ ჩვენი ხალხისათვის წიგნების გამოშვების უსწრაფესად გადიდებას!

ჩვენ მოვუწოდებთ მანქანათმშენებლობის მუშაკებს გაადიდონ პოლიგრაფიული მანქანების წარმოება და გააუმჯობესონ მათი ხარისხი. საჭიროა გაუმჯობესდეს და შეიქმნას ახალი მოწყობილობა საბეჭდი ფორმების დასამზადებლად, შეიქმნას დიდი წარმადობის როტაციული მანქანები მასობრივი საილუსტრაციო გამოცემებისათვის, გადიდდეს თანამედროვე მანქანების გამოშვება სტამბების გამომყვანი საამქროებისათვის და დაზგების გამოყვანის პროცესების მექანიზაციისათვის საშუალო და პატარა საწარმოებში. საჭიროა მოეწყოს სპეციალური საკონტროლო აპარატურის წარმოება მანქანების მუშაობისა და საწარმოო პროცესების ავტომატური რეგულირებისათვის. მანქანათმშენებლები მოვალენი არიან გაადიდონ პოლიგრაფიული და ქაღალდის მრეწველობის მოწყობილობის სათადარიგო ნაწილების გამოშვება.

ჩვენ მოვუწოდებთ ქაღალდის მრეწველობის მუშაკებს გაადიდონ ქაღალდის გამოშვება, გააუმჯობესონ მისი ხარისხი და გაფართოონ აბორტიმენტი. ლამაზი, პოლიგრაფიულად კარგად გაფორმებული წიგნების გამოცემისათვის საჭიროა მაღალხარისხოვანი და სხვადასხვა სორტის ქაღალდი კარგი საბეჭდავ-ტექნიკური თვისებებით ქაღალდის მრეწველობის მუშაკთა ღირსების საქმეა მოგვცენ წიგნისათვის საჭირო ქაღალდი.

ჩვენ მოვუწოდებთ საფეიქრო მრეწველობის მუშაკებს გაფართოონ საკინძავი ქსოვილების ასორტიმენტი და გაამდიდრონ ისინი ტვიფრვის სხვადასხვა ნახატით და სინთლეგამძლე სხვადასხვა გაფერადებით, აგრეთვე გაუმჯობესონ მარლის, ძაფისა და სხვა მასალების ხარისხი, რომლებზეც ბევრად დამოკიდებულია წიგნის კარგი ხარისხი.

ჩვენ მოვუწოდებთ ქიმიური მრეწველობის მუშაკებს გაფართოონ დიდი ინტენსივობის, ფერისა და სინთლეგამძლე საბეჭდი საღებავებისათვის პიგმენტების ასორტიმენტი და ხარისხი, გაუმჯობესონ ყველა სახეობის საბეჭდი მანქანებისათვის რეზინის ლილაკების ხარისხი, აგრეთვე ოფსეტური რეზინის ხარისხი.

ჩვენ მოვუწოდებთ ფერადი მეტალურგიის მუშაკებს გააფართოონ ოფსეტური ბეჭდვისა და ცინკოგრაფიისათვის თუთიისა და ალუმინის კალიბრებული ნაგლინის ხარისხი, აითვისონ თითბრის კალიბრებული ფირფიტების გლინვა ოფსეტური საბეჭდი ფორმებისათვის, გაუმჯობესონ ტყვიისა და სურმის ხარისხი სასტამბო შენადნობთა დასამზადებლად.

კინოფირის მრეწველობის მუშაკებმა უნდა უზრუნველყონ მაღალი ხარისხის ფოტოტექნიკური ფირების გამოშვება პოლიგრაფიისათვის საჭირო ასორტიმენტით.

* * *

ამხანაგებო! განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია წიგნის როლი საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში, კომუნიზმის აშენების დიადი საქმისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში.

ჩვენდამი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უყურადღებისა და ზრუნვის პასუხად მივცეთ ხალხს — კომუნისტური საზოგადოების შემქმნელს — ჩვენი დიადი ეპოქის შესაფერი წიგნები!

საკდესი უარყოფს

ამერიკის იუნაიტედ პრესის სააგენტომ ამას წინათ ვაშინგტონიდან გადასცა ცნობა იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ატომის ენერგიის საკითხთა გაერთიანებული კომისიის ქვეკომისიამ ამ კომისიის წევრთა ერთი ჯგუფის აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში მოგზაურობის შემდეგ გამოაქვეყნა მოხსენება, რომელშიც ამტკიცებს, რომ საბჭოთა კავშირს თითქოს არა სურს გაუწიოს ინდოეთს დახმარება ან მიაწოდოს რაიმე სამეცნიერო და ტექნიკური ცნობები, რომლებიც ატომის ენერგიის მშვიდობიან გამოყენებას ეხება.

როგორც საკდესისათვის ცნობილი გახდა, ინდოეთის მთავრობას არ მიუმართავს თხოვნით სსრ კავშირის მთავრობისათვის, რომ მას დახმარება გაეწია ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საქმეში, მაშასადამე, საბჭოთა კავშირს არ ჰქონია შესაძლებლობა გამოეთქვა თავისი დამოკიდებულება ასეთი თხოვნისადმი.

ამრიგად, მოხსენების ავტორთა ზემოთ მოყვანილი მტკიცებანი უხეში გამონაგონია.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის განცხადება

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი საბჭოთა მეცნიერების სახელით მხურვალედ იწონებს და საკუთარი მხარს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას ატომური ომის მომზადების წინააღმდეგ.

უკანასკნელი დროის ამბები, რომლებიც მკვეთრად აძლიერებენ საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობას, და საფრთხე ახალი ომისა მასობრივი მოსპობის საშუალებათა გამოყენებით გვაიძულებს ჩვენ, საბჭოთა მეცნიერებს, გამოვიდეთ ატომური იარაღის ხმარების დანაშაულებრივი განზრახვის წინააღმდეგ.

ხალხთა ნების საწინააღმდეგოდ, ერთი მუჭა მონოპოლისტების, მასობრივი მოსპობის იარაღის მეფაბრიკეების ანგარებითი ინტერესების დასაკმაყოფილებლად, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მმართველი წრეები დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს თავს ახვევენ ლონდონისა და პარიზის შეთანხმებებს გერმანიის ვერმახტის აღდგენის შესახებ. ხალხებმა განსაკუთრებული აღშფოთებით შეიტყეს, რომ ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა ავტორები მზად არიან ატომური იარაღი მისცენ ხელში სწორედ იმ ჰიტლერელ გენერლებს, რომლებმაც ცეცხლითა და მახვილით გაანადგურეს ევროპის ქვეყნები, მოსპეს მილიონობით ადამიანი და ფეხქვეშ გათელეს მსოფლიო კულტურის ბევრი უშესანიშნავესი ძეგლი.

შეშფოთებით და უდიდესი გულისწყრომით შეხვდნენ ხალხები აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის საბჭოს გადაწყვეტილებას, რომელიც ფაქტიურად უფლებას აძლევს ამერიკის სარდლობას თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვროს ატომური და თერმოგულური იარაღის გამოყენების ადგილი და დრო.

ემზადებიან რა მასობრივი მოსპობის იარაღის გამოყენებისათვის, იმპერიალისტები ცდილობენ თავიანთი დანაშაულებრივი საქმიანობა შენიღბონ ლაპარაკით ატომური იარაღის „თავდაცვითი“ ხასიათის შესახებ. მაგრამ კაცობრიობას არასოდეს არ მიუჩნევია და არ მიიჩნევს თავდაცვად ერთი მუჭა მონოპოლისტების მისწრაფებას ატომური ომის საშუალებით მიაღწიონ მსოფლიო ბატონობას. ატომური ბომბის „ტაქტიკური“ გამოყენების შესახებ ლაპარაკით ომის გამჩაღებლებს მხოლოდ ის სურთ, რომ შეცდომაში შეიყვანონ ხალხები. ამ „ტაქტიკური“ იარაღის გამოყენების პირველსავე ცდის მოჰყვებოდა ატომური და წყალბადის ბომბების მასობრივი გამოყენება. „თავდაცვისა“ და ატომური დაბომბვის „ტაქტიკური“ გამოყენების შესახებ ყალბი ლაპარაკით აგრესიული ძალები ცდილობენ ჩააგონონ ხალხებს, რომ ატომური იარაღის გამოყენება თითქოს გარდუვალია, და ამით ჩაბან ისინი ატომურ ომში, რომელიც აუცილებელ უბედურებას უქადის მთელ კაცობრიობას.

მაგრამ ფაქტები უცილობლად გვარწმუნებენ, რომ ატომური ომის თავიდან აცილება შესაძლებელია.

დიდი ხანია წავიდა ის დრო, როცა მმართველი წრეები თავიანთ ვარაუდებს ადგენდნენ ისე, რომ ანგარიშს არ უწევდნენ ხალხთა ნებას. ხალხების აღშფოთებამ შეუძლებელი გახადა გამოეყენებინათ ატომური ბომბი კორეაში, თუმცა ეს ძალიან სურდა ზოგიერთ ამერიკელ გენერალს. კაცობრიობის სინდისმა აიძულა აგრესორები შეწყვიტათ ომი ვიეტნამში.

ხალხთა მასების აღშფოთება ჩაფუშავს ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის მოღვაწეთა ახალ დანაშაულებრივ გეგმებსაც. სულ უფრო მტკიცედ გამოდიან ატომური ომის გაჩაღების წინააღმდეგ მთელი მსოფლიოს ხალხები.

საბჭოთა მეცნიერები, რომლებიც თავიანთ ძალებსა და ცოდნას ახმარენ მშვიდობიანი მშენებლობის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების, მისი კულტურის აყვავების კეთილშობილურ მიზნებს, ვერ შეურიგდებიან იმას, რომ ადამიანის გონების ისეთი უდიდესი მიღწევა, როგორიც არის ატომის ენერგიის დაუფლება, იმპერიალისტებმა გამოიყენონ მასობრივი მკვლელობისა და ნგრევისათვის.

ატომის ენერგიამ ხელი უნდა შეუწყოს კაცობრიობის უსაზღვრო პროგრესსა და მშვიდობიან განვითარებას. საბჭოთა კავშირმა პირველმა მისცა ყველას მაგალითი ამ დიადი აღმოჩენის გამოყენებისა მშვიდობიანი სამეურნეო მშენებლობის დარგში. მსოფლიოში პირველად საბჭოთა კავშირმა ააგო ელექტროსადგური, რომელიც ატომის ენერგიით მუშაობს. საბჭოთა მეცნიერები ეწევიან მეცნიერულ მუშაობას ატომის ენერგიის გამოსაყენებლად ტექნიკაში, ბიოლოგიაში, მედიცინაში, სოფლის მეურნეობაში. საბჭოთა ხალხი, რომელმაც პრაქტიკულად გამოიყენა ატომის ენერგია მშვიდობიანი მიზნით, მზად არის გაუზიაროს თავისი გამოცდილება სხვა ხალხებს. საბჭოთა მთავრობამ გამოთქვა სრული მზადყოფნა დაეხმაროს ჩინეთს, პოლონეთს, ჩეხოსლოვაკიას, რუმინეთს, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და სხვა ქვეყნებს ატომის ენერგიის ფართოდ გამოყენებაში მშვიდობიანი მიზნით.

საბჭოთა ადამიანები გადაჭრით მოითხოვენ ატომური და მასობრივი მოსპობის ყოველგვარი სხვა იარაღის აკრძალვას იმიტომ, რომ ხელმძღვანელობენ მხოლოდ და მხოლოდ ხალხთა ინტერესებით და ემყარებიან ურყევ დებულებას, რომ შესაძლებელია სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების მშვიდობიანი თანაარსებობა.

საბჭოთა მეცნიერები მიესალმებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1955 წლის 9 თებერვლის დეკლარაციას, რომელიც გამოხატავს მთელი საბჭოთა ხალხისა და ყველა ქვეყნის მშვიდობისმოყვარე ადამიანთა სანუკვარ ფიქრებსა და მისწრაფებებს.

„ხალხები სასიცოცხლოდ დაინტერესებული არიან საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებით, — ნათქვამია დეკლარაციაში, — მათ სრული შესაძლებლობა აქვთ არ დაუშვან ახალი ომი, რადგან მშვიდობის ძალები განუხრელად იზრდებიან და უკვე ახლა უფრო ძლიერნი არიან აგრესიისა და ომის ძალებზე“.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი მოუწოდებს ყველა საბჭოთა მეცნიერს, ყველა საბჭოთა ადამიანს ერთსულოვნად დაუჭირონ მხარი მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას.

დიდი იდეები დიდ ძალებს აღვიძებენ. ჩვენ გვჯერა, რომ მშვიდობის ძალები უძლეველია.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ა. ნ. ნესმეიანოვი.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტები აკადემიკოსი ი. ნ. ბაბლინი, აკადემიკოსი ძ. ვ. ოსტროვიტიანოვი.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მთავარი სწავლული მდივანი აკადემიკოსი ა. ვ. ტოკიჩიევი.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრები აკადემიკოსი ბ. თ. ალექსანდროვი, აკადემიკოსი ვ. ვ. ვინოგრადოვი, აკადემიკოსი ვ. ვ. დუბინინი, აკადემიკოსი მ. ვ. კელდიში, აკადემიკოსი ი. ვ. კურჩატოვი, აკადემიკოსი მ. ა. ლავრენტიევი, აკადემიკოსი ტ. დ. ლისენკო, აკადემიკოსი ვ. ს. ნემჩინოვი, აკადემიკოსი ა. ი. ოპარინი, აკადემიკოსი ი. ბ. პეტროვსკი, აკადემიკოსი მ. ნ. ტიხონრავოვი, აკადემიკოსი ს. ა. ხრისტიანოვიჩი, აკადემიკოსი დ. ი. შჩერბაკოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა მ ო მ რ ჩ ე ვ ე ლ თ ა წ ე რ ი ლ ე ბ ი

ზრდისა და შემოქმედებითი შრომის წლებში

★ ★ ★

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები გაცხოველებით ემზადებიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის. მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია ახალ შრომითს გამარჯვებებს აღწევენ კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

არჩევნებისათვის მზადების დღეებში მშრომელები სიხარულით აჯამებენ წინა არჩევნებიდან განვლილი დროის მანძილზე მიღწეულ წარმატებებს.

წინა არჩევნების შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა საბჭოთა საქართველოს ყველა კუთხეში. ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში გასული 3-4 წლის მანძილზე შეიქმნა მუშათა ახალი უბნები, აშენდა ქარხნები და ფაბრიკები, საცხოვრებელი სახლები, საავადმყოფოები, კლუბები და სხვ.

ამ გვერდზე ვაქვეყნებთ ამომრჩეველთა წერილებს, რომლებშიც მოთხრობილია იმ ცვლილებებზე, რაც მოხდა უკანასკნელ წლებში ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთ ქალაქსა და სოფელში.

★ ★ ★

ხალხის საკეთილდღეოდ

საქართველოს სამხედრო გზიდან დუშეთისაკენ რომ გადაუხვევთ, მაშინვე ქალაქის სიახლოვეს იგრძნობთ, გუდრონირებულ გზაზე განუწყვეტლივ დასრიალებენ სხვადასხვა მარკის ავტომანქანები. შვიდკილომეტრიანი გზა, რომელიც არაგვისპირიდან იწყება, გაფართოვდა, გასწორდა და აღარაფრით არ ჩამოუვარდება ჩვენი ქვეყნის დიდ მაგისტრალებს.

ბევრი რამ შეემატა ჩვენს ქალაქს ადგილობრივი საბჭოების წინა არჩევნებიდან დღემდე. ქალაქს აკლდა სასმელი წყალი, მაგრამ სამების მთიდან, რომელიც დუშეთს 20 კილომეტრით არის დაშორებული, გამოყვანილ იქნა წყალსადენი, რაზედაც 1 მილიონ 400 ათასი მანეთი დაიხარჯა. ამჟამად ქალაქის ტერიტორიაზე მიმდინარეობს წყალსადენის მილების ჩაწყობა.

დუშეთის მშვენებას წარმოადგენს ი. ბ. სტალინის სახელობის ქუჩა, რომლის გაყვანა 1953 წლის ბოლოს დამთავრდა. ქუჩა მოასფალტებულია, აქ დადგმულია ლამაზი ლამპიონები. ქუჩის ორივე მხარეს ცაცხვებია დარგული. გზის ერთ მხარეს სკვერი გაშენდა.

დიდი სამუშაოები შესრულდა ქალაქის ცენტრალური მოედნის გასამშვენებლად. 4 ათას კვადრატულ მეტრ ფართობზე დაგებულია ასფალტი, მოწყობილია ლამაზი შადრევანი.

ორი წლის მანძილზე ქალაქს შეემატა ასსაწოლიანი საავადმყოფოს და სასპორტო სკოლის ახალი, ლამაზი შენობები. გაიხსნა მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

ამჟამად მშენებლები მუშაობენ ი. ბ. სტალინის ქუჩის დასავლეთი მხარის გაფართოებასა და კეთილმოწყობაზე. აგებულია ახალი ხიდი, დადგმულია ლამპიონები.

დიდი ყურადღება ექცევა ინდივიდუალურ ბინათმშენებლობას. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ორმოცზე მეტმა მოქალაქემ აიშენა ახალი სახლი.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს კულტურის სარაიონო სახლის მშენებლობა, რაზეც 1 მილიონ 460 ათასი მანეთი დაიხარჯება.

ეს ყველაფერი ორი წლის მანძილზე გაკეთდა ჩვენი დეპუტატებისა და აქტივის დახმარებით. მომავალში, ისე როგორც ყველგან, ჩვენს ქალაქშიც ბევრი რამ გაკეთდება საბჭოთა ადამიანების საკეთილდღეოდ.

დიდი სიხარულით ველოდებით არჩევნების დღეს, რათა ხმა მივცეთ კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის ღირსეულ კანდიდატებს.

ქალაქ დუშეთის ამომრჩევლები: ნ. მნათობიშვილი (რაიონსაბჭოს აღმასკომის უფროსი მიწათმოქმედობის), **ბ. კეზელი** (საშუალო სკოლის მასწავლებელი), **ე. ცქიმანაური** (ექიმის თანაშემწე), **ი. ჯაბანაშვილი** (სარემონტო კანტორის კალატოზი), **შ. მჟედლიშვილი** (პენსიონერი).

ტარიბანას საძოვრებზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების დღეებში ივრისპირა საზამთრო საძოვრებზე — ტარიბანაში, ჩათმაში, ჭაჭუნაში და ჩობანდახში მყოფ სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობების მეცხვარეობის ფერმებში და ბრიგადებში გაუმჯობესდა სააგიტაციო მასობრივი მუშაობა.

ტარიბანაში მოწყობილი საარჩევნო უბანი სააგიტაციო მუშაობის ცენტრად გადაიქცა.

ნაყოფიერად მუშაობს აგიტატორი შალვა მანჯაფარაშვილი. აგიტატორის ერთ-ერთი საუბრის დროს 72 წლის კოლმეურნემ ნადირაშვილმა, რომელიც 56 წელწადია ცხვარში მწყემსად დადის, განაცხადა: ისეთი ბედნიერ ცხოვრებას, როგორიც ჩვენს ქვეყანაშია, კაცობრობა ჯერ არ მოსწრებია. ჩვენში ხალხი ბედნიერია და კულტურულად ცხოვრობს. კოლმეურნეობაში თავდადებული შრომით გასულ წელს 810 შრომადღე გამოვიმუშავე, რაზეც 6.500 კილოგრამი ხორბალი, 1.500 კილოგრამი სიმინდი, 800 კილოგრამამდე მზესუმზირა და სხვა პროდუქტები მერგო. ძველ დროს ამდენ პროდუქტებზე ფიქრიც არ შემეძლო!

ტარიბანაში გაცხოველებით ემზადებიან არჩევნებისათვის, თავდადებით იბრძვიან პირუტყვის კარგად გამოზამთრებისათვის.

მ. ტუხაშვილი,
სიღნაღის რაისაბჭოს აღმასკომის ინსტრუქტორი.

მე ამ სახლში ვცხოვრობ

ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში სამუშაოდ ორმოცი წლის წინათ მოვედი. უსაზღვრო სიხარულსა და სიამაყეს განვიცდი, როცა გადარბენ მეშახტეთა ქალაქის წარსულსა და აწმყოს. რამდენი რამ გაკეთდა აქ ხუთწლედების მანძილზე! დიდი ცვლილებები მოხდა განსაკუთრებით უკანასკნელ ოთხ წელიწადში: აშენდა საშუალო სკოლა, სპორტული ბაღი და ბაგა, კლუბი, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, გაშენდა ბაღები, სკვერები და გზონები. საფუძველი ჩაეყარა მეშახტეთა კულტურის სახლისა და პიონერთა სასახლის მშენებლობას.

ქალაქის ცენტრში, სტალინის ქუჩაზე ხუთი თვის წინათ დამთავრდა სამსართულიანი, თვრამეტბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. ამ შენობაში ტრესტის ხელმძღვანელობამ, სხვა მეშახტეებთან ერთად, მეც მომცა ბინა. ბინები კეთილმოწყობილია. ნაგალითად, ჩემს ოჯახს აქვს სამი ნათელი და ფართო ოთახი.

ამ ფაქტიდანაც ნათლად ჩანს, თუ როგორ ზრუნავენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა რიგით ადამიანებზე. ამიტომ ჩვენ, მეშახტეები, ვცდილობთ საქმით ვუპასუხოთ პარტიის მამობრივ მზრუნველობას, ვცდილობთ მეტი ქვანახშირი მივცეთ ქვეყანას.

ალ. დარსაძე,
საპატიო მეშახტე, ლენინის სახელობის შახტის მბურღველი.



ტყიბული. ახალი საცხოვრებელი სახლი სტალინის ქუჩაზე.
ფოტო თ. დოხნაძისა.

მუშათა უბანში

ოთხი წლის წინათ წვიმიან ამინდში ავტომანქანების მძღოლებისაგან ავჭალისაკენ მიმავალ გზაზე გაიგონებდით საყვედურს:

— როდის ეღირსება ამ გზას გაკეთებაო. — ხშირად ნახავდით ტალახში ჩაფლულ ავტომანქანებს.

დღეს კი ლენინის რაიონის ღრმაღელის ამ უბანს საბჭოთა ადამიანმა სახე უცვალეს. მოასფალტებული, კეთილმოწყობილი ქუჩებია გაკეთებული. ტრამვაის ახალი ხაზი თითქმის ავჭალამდეა მიყვანილი. ავტომანქანებიც თავისუფლად, უშიშრად დაჰქრიან...

თბილისი. გასულ წელს ქალაქს შემოეტატა ღრმაღელე-ავჭალის მაგისტრალი, რომელიც თანდათან მშვენდება მრავალსართულიანი სახლებით. სურათზე: ღრმაღელე-ავჭალის მაგისტრალის დასაწყისთან.
ფოტო შ. გოქაძისა.

წარსულს ჩაბარდა ყოფილი ნაძალადევის მიყრუებული უბანი თავისი მიწური, ნესტიანი ქოხმახებით, ბნელი ქუჩებით. რაიონის ამ კუთხეს ღრმაღელეს ახლა ამშვენებენ უახლესი ტექნიკით აღჭურვილი დიდი საწარმოები, სკოლები, კლუბები

მხიარულება და ბედნიერება დამკვიდრდა მუშათა კეთილმოწყობილ ბინებში.

დედაქალაქის ამ უბანშია კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი, ავტოსარემონტო, ლოკომოტივსარემონტო, აგურის ქარხნები, ფაბრიკები.

აქ გაიზარდნენ ტექნიკური ინტელიგენციის შესანიშნავი კადრები. ზეინკლები, ხარატები, ინჟინრები, ტექნიკოსები კვალიფიკაციას იმაღლებენ ქალაქის უმაღლეს სასწავლებლებში, ტექნიკუმებსა და მუშა ახალგაზრდობის სკოლებში.

ლენინის რაიონის მშრომელები დიდი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობით ემზადებიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მოწინავე მექვანძე ზ. გამყრელიძე, კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის წარჩინებული ზეინკალი ნ. დაბრუნდაშვილი და მრავალი სხვა არჩევნების აღსანიშნავ ვახტზე დგანან, ორმაგად და სამმაგად ასრულებენ საწარმოო დავალებებს.

უდიდესი მოწონებით შეხვდნენ დედაქალაქის ლენინის რაიონის მშრომელები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

— მივცეთ საყვარელ სამშობლოს მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია, — ასეთია მშრომელთა პასუხი პარტიისა და მთავრობის მოწოდებაზე.

მათი სიტყვა და საქმე ურყევია.

• • •

ღრმაღელის ზემოთ, კეთილმოწყობილ ბაღთან ერთ-ერთი ლამაზი ქუჩა თბილისის ზღვისაკენ მიდის. აქ მაღლობიდან დიდებულად ჩანს მშობლიური დედაქალაქის ინდუსტრიული ცენტრი, ახლადდასახლებული უბნები, ბაღები, გაზონები...

უსაზღვროა ამ უბნის ამომრჩეველთა სიხარული.

ისინი არჩევნების დღეს — 27 თებერვალს მივლენ საარჩევნო ყუთებთან და ერთსულოვნად ხმას მისცემენ კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატებს, ხმას მისცემენ ჩვენი ქვეყნის წინსვლას, მის ძლიერებას, ხალხთა მშვიდობას.

ა. გამყრელიძე.

ქალაქი სახეს იცვლის

დღითიდღე კეთილმოწყობილი და ლამაზი ხდება წულუკიძის რაიონის ცენტრი — ქალაქი წულუკიძე. ფართო მოასფალტებულ ქუჩებს ამშვენებს მარადმწვანე მცენარეები. მოედანზე აღმართულია ვ. ი. ლენინის ძეგლი.

ლამაზია ქალაქის ბაღი. აქ კარგად მოწყობილი ესტრადაა. ბაღის ცენტრში დგას ალექსანდრე წულუკიძის ძეგლი.

მუშა-მოსამსახურეთა ახალი, 14-ბინიანი საცხოვრებელი სახლი კარგი არქიტექტურული სტილით არის შესრულებული.

ქალაქს სილამაზეს მატებს პირველი ხუთწლედის პირმშო — აბრეშუმის ძაფსადები ფაბრიკა. გასული წლიდან დაიწყო ძაფსაგრეხი ფაბრიკის ექსპლოატაცია.

წულუკიძეში არსებული სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკუმი და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის № 9 სასწავლებელი არა მარტო რაიონს, არამედ მთელ რესპუბლიკას აწვდიან სპეციალისტებს. № 8 სახელოსნო სასწავლებელი ზრდის სპეციალისტთა კადრებს ქუთაისის ავტოქარხნისათვის.

ამ დღეებში წულუკიძის მშრომელებმა კიდევ ერთი ძვირფასი საჩუქარი მიიღეს — გაიხსნა მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. მუზეუმში მოთავსებული ექსპონატები ასახავენ ალექსანდრე გიორგის-ძე წულუკიძის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობას.

ქალაქში ახლად აგებულ ლამაზ შენობებს მიმდინარე წელს კიდევ შემატება ადგილობრივი მრეწველობის, სახანძრო დეპოს, რაიკოოპკავშირის ორსართულიანი და სხვა შენობები, რაც კიდევ უფრო დაამშვენებს ქალაქ წულუკიძეს.

ბ. გეგუჩაძე.

არჩევნების შესახებ

არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით ჩვენმა აგიტატორებმა ბევრი საუბარი გაბართეს. ისინი ამომრჩევლებს გაუმარტავენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ტრაბიული პოლიტიკას, საუბარში იყენებენ ფაქტებს კოლმეურნეობის ცხოვრებიდან.

განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლებით დავამთავრეთ 1954 წელი. კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა შარშან 4.151 ათასი მანეთი შეადგინა, რაც 1953 წლის ფულად შემოსავალს 2.720 ათასი მანეთით აღემატება. ფულადი შემოსავლის 75 პროცენტი მიღებულია მევენახეობიდან.

კოლმეურნეობის ვენახის საერთო ფართობი 172 ჰექტარია. 137 ჰექტარი სრულმოსავლიანი ვენახის თვითეულ ჰექტარზე გასულ წელს 112 ცენტნერი ყურძენი მივიღეთ, გეგმა კი 53 ცენტნერს ითვალისწინებდა. ბრიგადამ, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ი. ალიმბეგოვი ხელმძღვანელობს, ერთ ჰექტარზე 155 ცენტნერი ყურძენი მოიყარა. სოციალისტური შრომის გმირის გ. ბაკაშვილის ბრიგადის ურწყავ ნაკვეთზე გაშენებული ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 100 ცენტნერი ყურძენი. კოლმეურნეობის ყველა ბრიგადამ და რგოლმა ყურძნის მოსავლის გეგმა 180-300 პროცენტით შეასრულა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილების მიღებამდე მეცხოველეობაში კარგი მდგომარეობა არ გვქონდა. როცა ამ დარგს სერიოზული ყურადღება მივაქციეთ, საქმე წინ წავიდა. ახლა ადგილობრივი გაუმჯობესებული ჯიშის ძროხებთან ერთად გვყავს 44 სული ლეჰენდინური და ველის წითელი ჯიშის პირუტყვი. 60 სული პირუტყვისათვის გვაქვს ფერმა, სადაც ყველა შრომატევადი სამუშაო მექანიზებულია.

ახლა კოლმეურნეთა ნამდვილი ზეიმია. ისინი გასულ წელს გაწეული შრომის მაღალ ანაზღაურებას იღებენ. ფულზე გადაანგარიშებით შრომადღის ღირებულება 37 მანეთია. ცოტა როდი გვყავს ისეთი მევენახე, რომელსაც შრომის მარტო დამატებითი ანაზღაურების სახით 1.500 ლიტრი ღვინო ერგება.

მაგრამ მიღწეული როდი გვაკმაყოფილებს. ჩვენი ამოცანაა განუწყვეტლივ ვზრდოთ საკოლმეურნეო დოვლათი. ამიტომ გულმოდგინედ ვუვლით ვენახებს. ვენახის მთელ ფართობზე ნიადაგი უკვე დავამუშავეთ, შეგვაქვს სასუქები, შევუდგებით ვაზის სხვლას. ყოველმხრივ მზად ვართ საგაზაფხულო თესვისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების დღეებში კოლმეურნეები ზრდიან აორკეცებენ. ლენინის ორდენოსანი ბრიგადირი მანანა დუღლაძე და რიგითი კოლმეურნე სიკო ზარდიაშვილი რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები არიან. 18 კოლმეურნე დასახელებულია სასოფლო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

ყველა კოლმეურნე ამომრჩეველი ერთსულოვნად მისცემს ხმას ხალხის რჩეულებს — რესპუბლიკის უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებს.

ა. დავითაშვილი,
გურჯაანის რაიონის სოფელ გურჯაანის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.

საუბარი მშობლიური ქალაქის ზრდა-განვითარების შესახებ

მთელი საბჭოთა ხალხის მძლავრი პოლიტიკური აღმავლობა გამოიწვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებამ და უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებებმა. აგიტატორები გულდასმით ესაუბრებიან ამომრჩევლებს ამ დადგენილებათა ისტორიულ მნიშვნელობაზე, რაზმავენ მშრომელებს უკეთესი მაჩვენებლების მიღწევისათვის. თავიანთ საუბრებს მჭიდროდ უკავშირებენ ცხოვრებას, სადღეისო ამოცანებს. ამ მხრივ მისაბაძია ქუთაისის აბრეშუმსაქსოვი კომბინატის პირველი საქსოვი საამქროს აგიტატორის ჭ. ვაშაკიძის მუშაობა. მან ამას წინათ საინტერესოდ ჩაატარა საუბარი თემაზე — „მშობლიური ქალაქის ზრდა-განვითარება“.

ხუთწლედების მანძილზე, — თქვა აგიტატორმა, — ბევრი რამ შეიცვალა ჩვენს ქალაქში. ქუთაისში დამზადებული ავტომობილები, ექსკავატორები, საშახტე ვაგონები, ლითონის ხარაჩოები, ლითონკონსტრუქციები, ქსოვილები, კონსერვები, ლიტოპონი და სხვა სახის პროდუქცია მთელ საბჭოთა კავშირშია ცნობილი. ახალი საძრეწველო უბნები განუწყვეტლივ იმატებს ინდუსტრიულ ქალაქს. წინა არჩევნების შემდეგ ქალაქის სამხრეთ დასავლეთით შეიქმნა სამრეწველო უბანი, რომლის ტერიტორიაზე წამოიმართა საკავშირო დაქვემდებარების შუშის ტარის ქარხნის ვეებერთელა კორპუსები. მის მოპირდაპირე მხარეს აიგო უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ლუდის ქარხანა და სხვა საწარმოები.

ჩვენი მშობლიური საწარმოს — აბრეშუმკომბინატის ზრდასა და წინსვლას მრავალი ფაქტი ცხადყოფს. რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობის ეს მძლავრი საწარმო შეიქმნა პატარა ძაფსაღები ფაბრიკის ბაზაზე, რომელიც 1928 წელს აიგო. ახლა იგი იმდენად გაიზარდა, რომ ყოველწლიურად მილიონობით მეტრ ქსოვილს აძლევს სამშობლოს. ჩვენ გადავწყვიტეთ, — განაგრძობს აგიტატორი, — ხუთწლიანი გეგმა 1955 წლის 1 სექტემბრისათვის შევასრულოთ და დამატებით გამოვუშვათ 5 მილიონი მეტრი ქსოვილი. ამ გადიდებული ვალდებულების შესასრულებლად საჭიროა ყველა მუშამ პასუხისმგებლობით იმუშაოს.

საბჭოეზის არჩევნებისათვის მზადება ჩვენს კოლექტივში დიდი პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის ნიშნით მიმდინარეობს. განსაკუთრებული სიამაყის გრძნობას განვიცდით იმის გამო, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულია აბრეშუმკომბინატის წარჩინებული მუშა ქალი, ჩვენი საამქროს მოწინავე მქსოველი ელენე გიორგის ასული ჯიმშელეიშვილი. აგიტატორი მსმენელებს უამბობს დეპუტატობის კანდიდატის შესახებ.

როდესაც დიდი სამამულო ომი დაიწყო, ელენე ჯიმშელეიშვილმა საწარმოში შეცვალა ფრონტზე წასული მეუღლე. მან სწრაფად აითვისა მქსოველის სპეციალობა, და უკვე 15 წელია საწარმოო დავალებებს სისტემატურად ასრულებს. მეხუთე ხუთწლიანი გეგმა 104,8 პროცენტით შეასრულა.

შრომამ საამური და საინტერესო გახადა ელენეს ცხოვრება. იგი ახლახან შევიდა ახალ ბინაში და ძვირფასი ავეჯითაც მორთო. ეჭვი არ არის, რომ არჩევნების დღეს — 27 თებერვალს ყველა ერთსულოვნად მისცემს ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატს ელენე გიორგის ასულ ჯიმშელეიშვილს.

აგიტატორმა საუბარი დაამთავრა. დამთავრდა შესვენებაც. ფეიქრები ჩვეული ენერგიით შეუდგნენ მუშაობას. არჩევნებისადმი მიძღვნილ ვახტზე მქსოველებმა ნ. ბრეგაძემ, ლ. მესხმა, ლ. შჩერბაკოვამ და სხვებმა ახალ გამარჯვებებს მიაღწიეს.

გ. ძოძუაშვილი.

ჩვენი სოფელი დღეს

შუამთამ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში იცვალა სახე. კეთილმოწყობის მხრივ მას ბადალი არ ჰყავს ვანის რაიონში.

სოფელში რევოლუციამდე მხოლოდ ერთი ორკლასიანი სასწავლებელი იყო, რომელშიც შეძლებულთა შვილები სწავლობდნენ. ამჟამად მომავალი თაობის აღზრდას ემსახურება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, საშუალო, 8-წლიანი და დაწყებითი სკოლები. სოფელში არის აგრეთვე კულტურის სახლი, სასოფლო კლუბი და 3 ბიბლიოთეკა.

საბჭოთა სახელმწიფო ყოველწლიურად დიდი რაოდენობით ხარჯავს თანხებს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვაზე. გასულ წელს ჩვენთან გაიხსნა 10-საწოლიანი საავადმყოფო-ამბულატორია. ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება 3 ექიმი და 10 ექიმის თანაშემწე.

სასოფლო საბჭო ყურადღებით სწავლობს მშრომელთა მოთხოვნილებებს და აკმაყოფილებს მათ. მაგალითად, სოფლის კოოპერატივის მაღაზია და სასადილო შეუფერებელ ბინებში იყო მოთავსებული, რაც მშრომელთა კანონიერ უკმაყოფილებას იწვევდა. ამის შესახებ სათანადო ორგანოების წინაშე დავაყენეთ საკითხი. ახლა აღნიშნულ დაწესებულებებს კეთილმოწყობილი, კაპიტალური შენობები აქვთ. მოკლე დროში დამთავრდება პურის საცხობის მშენებლობა.

უკანასკნელი წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სასოფლო საბჭოს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა. სასოფლო საბჭომ, მისმა დეპუტატებმა ბ. კალანდაძემ, ი. გოგაძემ, ს. ფარცხალაძემ, ნ. მელაშვილმა, ი. სულაბერიძემ და აქტივისტებმა დიდი დახმარება გაუწიეს კოლმეურნეობათა გამგეობებს. გასული წლის მუშაობის შედეგების მიხედვით ჩვენი სოფლის ორივე კოლმეურნეობაში მოპოვებულია პირველი წარმატებები. განსაკუთრებით ნაყოფიერად იმუშავეს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა. კოლმეურნეობის 290 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღეს 22 ცენტნერი სიმინდი.

ამჟამად არჩევნებისათვის ემზადება შუამთაც. ჩვენი სოფლის ტერიტორიაზე შექმნილია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ერთი საარჩევნო ოლქი, რაიონული საბჭოს — 4 და სასოფლო საბჭოს არჩევნების 34 საარჩევნო ოლქი.

27 თებერვალს ჩვენი სოფლის მშრომელები უკლებლივ მივლენ საარჩევნო ყუთებთან და ერთსულოვნად მისცემენ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის ღირსეულ კანდიდატებს, ერთხელ კიდევ ცხადყოფენ კომუნისტური პარტიის საქმისადმი თავიანთ ერთგულებას.

თ. ეფრემიძე,
ვანის რაიონის შუამთის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

აღმავლობის გზაზე

საქართველოში ახაშის მტს-ი ერთ-ერთი უძველესი მტს-ია. ამჟამად იგი შეიარაღებულია მძლავრი ტექნიკით, დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით. მტს-ს აქვს კარგად მოწყობილი სახელოსნო, რომელიც მომსახურებას უწევს მეზობელ რაიონებსაც.

უკანასკნელ ხანებში გაუმჯობესდა მტს-ის სახელოსნოს ტექნიკით აღჭურვა. სახელოსნოებში მოეწყო საიარაღო საამქრო, ნაწილების სარეცხი აბაზანები, ორი სახარატო და ერთი სარანდავი დაზგა, დაკომპლექტებულია საზეინკლო საამქრო.

მტს-ში ამჟამად ფართოდ არის გაჩაღებული წინასაარჩევნო სოციალისტური შეჯიბრება. მექანიზატორები წარმატებით აწარმოებენ საგაზაფხულო ხვნას. უკვე მოხნულია 1.600 ჰექტარი მიწა.

სატრაქტორო ბრიგადაში, რომელმაც ვადამდე დაამთავრა ტრაქტორების რემონტის პირველი კვარტალის გეგმა, სერიოზულ ყურადღებას ვაქცევ მოწინავე მეთოდების დანერგვას, გამოცდილების განზოგადებას. შრომის ნაყოფიერების გადიდებაში დიდად შემიწყო ხელი რუს მექანიზატორებთან (ადლერის რაიონი, კრასნოდარის მხარე) ნეგობრობამ. პირადად გავეცანი რუს მექანიზატორთა გამოცდილებას, სატრაქტორო ბრიგადაში დავნერგე მათი მოწინავე მეთოდები.

ი. სტოლრჩაკი,
ახაშის მტს-ის მეხუთე სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი.

მენავთობეთა ახალი საავადმყოფო

საახალწლოდ ბათუმის მენავთობეთა საცხოვრებელ უბანში გაიხსნა ახალი კეთილმოწყობილი 75-საწოლიანი საავადმყოფო, რომელიც უზრუნველყოფს სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა სტაციონარული მომსახურების გაუმჯობესებას. საავადმყოფოში მოეწყო საიარაღო-თერაპიული და რენტგენის კაბინეტები, კლინიკური ლაბორატორია, კეთილმოწყობილი საოპერაციო და სამშობიაროო განყოფილებები. საავადმყოფო უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობითა და კარგი ვენტილაციით. ჩქარი ტემპით მიმდინარეობს საავადმყოფოს ეზოს კეთილმოწყობა და გამწვანება.

ქარხნის ძირითად საამქროებში, უშუალოდ სამუშაოზე მყოფ მუშა-მოსამსახურეთა სამედიცინო მომსახურებისათვის მოწყობილია საორდინატოროები, რომლებშიც მაღალკვალიფიციური სპეციალისტები მუშაობენ.

ამჟამად მიმდინარეობს პოლიკლინიკის შენობის რეკონსტრუქცია. შეკეთდება ქარხნის ტერიტორიაზე არსებული საორდინატოროები და ქალთა ჰიგიენის ოთახები.

დღითიდღე უმჯობესდება საავადმყოფოში სამკურნალო დაცვის რეჟიმი. ფართოდ ვიყენებთ მკურნალობის კომბინირებულ მეთოდებს.

ექიმი **ი. ჩიქვილაძე.**



ბათუმი. სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მუშათა დასახლების საავადმყოფოს ახალი შენობა.
ფოტო ნ. ანასტასიევისა.

უცხოეთის პრესის გამოხმაურება საბჭოთა მთავრობის განცხადებაზე

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა

პეკინი, 20 თებერვალი. (საკდესი). დღეს ყველა ცენტრალურმა გაზეთმა პირველ გვერდზე დიდი სათაურებით გამოაქვეყნა სრული ტექსტი საბჭოთა მთავრობის განცხადებისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის მომავალ მუშაობასთან დაკავშირებით. „ჟენმინჟიბაო“ აძლევს შემდეგ ქვესათაურს: „საბჭოთა კავშირმა ყველა სახელმწიფოს მიმართა წინადადებით მოსპონ ატომური და წყალბადის იარაღის მთელი არსებული მარაგი, შეამცირონ შეიარაღებული ძალები და მოიწვიონ მსოფლიო კონფერენცია შეიარაღების საყოველთაო შემცირების საკითხზე“.

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 20 თებერვალი. (საკდესი). ყველა უდიდესი გაზეთის ყურადღების ცენტრშია საბჭოთა მთავრობის განცხადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის მომავალ მუშაობასთან დაკავშირებით. „რუდე პრავო“, „პრაცე“, „ზემედელსკე ნოვინი“, „ობრანა ლიდუ“ ყველაზე თვალსაჩინო ადგილას ბეჭდავენ საბჭოთა მთავრობის განცხადების სრულ ტექსტს.

კომენტარს უკეთებს რა წინადადებებს, რომლებიც საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა თავის 18 თებერვლის განცხადებაში, გაზეთი „რუდე პრავო“ წერს: ჩვენ ყოველი პატიოსანი, მშვიდობისმოყვარე ადამიანის აზრის გამოთქვამთ, თუ ვიტყვით, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობის ამ ახალ განცხადებას და მის წინადადებებს სავსებით უჭერს მხარს მთელი პროგრესული კაცობრობა.

საბჭოთა მთავრობის განცხადება, რომელიც ამხილებს აგრესიული წრეების დანაშაულებრივ განზრახვებს, აღნიშნავს „რუდე პრავო“, უშუალოდ დაკავშირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უკანასკნელი სესიის გადაწყვეტილებებთან, რომელთა მიზანია მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცება.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

ბერლინი, 20 თებერვალი. (საკდესი). საბჭოთა მთავრობის განცხადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის მომავალ მუშაობასთან დაკავშირებით დღევანდელი დემოკრატიული გაზეთების ყურადღების ცენტრშია.

„ბერლინერ ცაიტუნგი“, „დერ მორგენი“, „ნოიე ცაიტ“, „ნაციონალ-ცაიტუნგი“ და სხვა გაზეთები დიდი სათაურებით და თვალსაჩინო ადგილებზე ათავსებენ საბჭოთა მთავრობის განცხადების დაწერილებს შინაარსს.

გაზეთი „ნოიე დოიჩლანდი“, აქვეყნებს რა საბჭოთა მთავრობის განცხადების სრულ ტექსტს, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს განცხადება ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ საბჭოთა კავშირი, ისევე როგორც წინათ, მტკიცედ იბრძვის შეიარაღების მნიშვნელოვანი შემცირებისათვის, ატომური და წყალბადის იარაღის, აგრეთვე მასობრივი მოსპობის ყველა სხვა საშუალების აკრძალვისათვის. გარდა ამისა, წერს გაზეთი, საბჭოთა კავშირი წინადადებას იძლევა მოეწყოს ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლის იმაზე, რომ ყველა სახელმწიფომ შეასრულოს გადაწყვეტილებანი ატომური იარაღის აკრძალვისა და შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების რიცხვის შემცირების შესახებ.

სამწუხაროდ, განაგრძობს გაზეთი, საბჭოთა კავშირის წინადადებებს, რომელთა მიზანია ატომური იარაღის უთუო აკრძალვა, განუწყვეტლივ უარყოფენ შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და დასავლეთის სხვა სახელმწიფოები, რის შედეგადაც დღემდე არ დადებულა შეთანხმება ამ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხზე.

მაგრამ ამ ბოლო დროს, აღნიშნავს „ნოიეს დოიჩლანდი“, მსოფლიოს საზოგადოებრიობის ფართო წრეები სულ უფრო მეტად მოითხოვენ ატომური და წყალბადის ბომბების არსებული მარაგის მოსპობას. ისინი მოითხოვენ ატომური და წყალბადის იარაღის სრულ აკრძალვას და მის ამოღებას ყველა სახელმწიფოს შეიარაღებიდან. ამიტომ, ხაზგასმით აღნიშნავს დასასრულ გაზეთი, საბჭოთა მთავრობის წინადადებანი შეესაბამება ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს. არცერთი სახელმწიფო არ უნდა დარჩეს განზე ატომური იარაღისა და მასობრივი მოსპობის სხვა საშუალებათა აკრძალვის ამოცანის გადაჭრაში მონაწილეობისაგან.

ამერიკის შეერთებული შტატები

ნიუ-იორკი, 20 თებერვალი. (საკდესი). საბჭოთა მთავრობის განცხადებამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის მომავალ მუშაობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ინტერესი გამოიწვია ამერიკის საზოგადოებრიობაში. თვალსაჩინოებენ რა ამ ინტერესს, ზოგიერთი გაზეთის კომენტატორები ცდილობენ ჩააგონონ ამერიკელებს, თითქოს ამ წინადადებებს მხედველობაში არ ჰქონდეთ გამალებული ატომური შეიარაღების შეწყვეტა. ისინი ამ მიზნით დეზორიენტაციის გაცვეთილ მეთოდებს მიმართავენ, „პროპაგანდისტულ ნაბიჯს“ უწოდებენ რა საბჭოთა კავშირის წინადადებებს. წამოაყენებენ რა ამ მანევრების ნამდვილი მიზნები, გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ დაბეჭდა ცნობა, რომელიც არსებითად აცხადებს, რომ საბჭოთა წინადადებანი იმას გამოიწვევენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები დაკარგავენ თავიანთი უბადოებული პოლიტიკის — „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად საშუალებას, ატომური იარაღი შანტაჟის საშუალებას. გაზეთი აგრეთვე აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის წინადადების მიღება იმას გამოიწვევს, რომ „დასავლეთ გერმანიის შეიარაღება ვერ განხორციელდება“.

საფრანგეთი

პარიზი, 20 თებერვალი. (საკდესი). ჟუშინ პარიზის საღამოს გაზეთმა „მონდმა“ საბჭოთა მთავრობის განცხადებას მიუძღვნა მოწინავე სტატია.

გაზეთი საბჭოთა მთავრობის განცხადებაში „ახალ ელემენტს“ უწოდებს წინადადებას —შეწარუნებლივ იქნას შეიარაღებული ძალები და შეიარაღება 1955 წლის 1 იანვრისათვის არსებულ დონეზე.

ეხება რა საბჭოთა კავშირის წინადადებას ატომური და წყალბადის იარაღის მარაგის მოსპობის შესახებ, „მონდი“ აღიარებს, რომ ეს სურს მთელ მსოფლიოს. მაგრამ გაზეთი აყენებს სხვადასხვა პირობას კონტროლის წინასწარ დაწესების შესახებ.

„მონდი“ აცხადებს, რომ ძნელია იმ გაფრთხილების მნიშვნელობის განსაზღვრა, რომელიც საბჭოთა მთავრობამ გააკეთა პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის შესაძლო შედეგების შესახებ. გაზეთი გვიჩვენებს უკლის საკითხის არსს და მოითხოვს, რომ საბჭოთა კავშირის მხრივ ცალმხრივად „დადასტურებულ იქნას კეთილი ნება“.

გაზეთი „ფრანს-სუარი“ საბჭოთა მთავრობის განცხადებისადმი მიძღვნილ სტატიაში, არ განიხილავს რა საბჭოთა მთავრობის წინადადებას არსებითად, ეხება უმთავრესად შემოთავაზებულ ღონისძიებათა შესრულებისადმი კონტროლის დაწესების საკითხს. „განიარაღების დარგში ყველა ღონისძიებას, — აცხადებს გაზეთი, — წინ უნდა უძღოდეს ადგილზე მკაცრი კონტროლის დაწესება ინსპექციით, რომელსაც განახორციელებს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია“.

გაზეთი მაინც იძულებულია აღიაროს, რომ საბჭოთა კავშირის განცხადების თემა „გასაგები და მახლობელია მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის“, განსაკუთრებით იმ პერიოდში, როცა დასავლეთის სახელმწიფოები ამზადებენ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციას.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის პრეზიდიუმისა და სახელმწიფო საბჭოს განცხადება

ვარშავა, 19 თებერვალი. (საკდესი). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეკლარაციასთან დაკავშირებით პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის პრეზიდიუმმა და საზელმწიფო საბჭომ გაკეთეს განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის პრეზიდიუმი და სახელმწიფო საბჭო მხურვალედ მიესალმებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეკლარაციას, რომელიც საუბრობდ თვლის სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტების თანამშრომლობას მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეში. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის პრეზიდიუმი და სახელმწიფო საბჭო ღრმა რწმენას გამოთქვამენ, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ინიციატივა შეესაბამება ყველა ხალხის მისწრაფებებსა და იმედებს, რომ იგი ემსახურება მშვიდობის საქმეს.

ყველა კონტინენტის სახელმწიფოთა პარლამენტებს დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მშვიდობის მეგიდისათვის. პარლამენტებს, რომლებიც იღებენ კანონებს და რომლებზედაც დამოკიდებულია საერთაშორისო ხელშეკრულებათა მიღება, შეუძლიათ და უნდა შეუწყონ ხელი მშვიდობის განმტკიცებას და მშვიდობის საქმისათვის დამლუპველი საერთაშორისო მოვლენების განვითარების თავიდან აცილებას.

პარლამენტების პასუხისმგებლობა განსაკუთრებით დიდია ახლა, როცა ევროპაში და მსოფლიოს სხვა ნაწილებში აკოწიწებენ და აღორძინებენ აგრესიულ სამხედრო დაჯგუფებებს, როცა ატომური იარაღის გამოყენების გეგმები კალკულირდებიან აყენებს უდიდესი ნგრევის ახალი საფრთხის ჩიზეზი, როცა იზრდება გამალებული შეიარაღება, ხოლო ევროპისა და აზიის მშვიდობისმოყვარე ხალხების გარშემო ფარითოდება თავდასხმის მიზნით შექმნილი სამხედრო ბაზების ქსელი.

პოლონელი ხალხი განსაკუთრებული ყურადღებით და ფხიზლად ადევნებს თვალს დასავლეთ გერმანიაში აგრესიული გერმანული მილიტარიზმის ძალების აღორძინებას, რომლებიც უკვე ახლა არ მალავენ თავიანთ რევანშისტულ და დამპყრობლურ გეგმებს, რომლებიც მიმართულია როგორც პოლონეთის, ისე აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის სხვა ხალხების წინააღმდეგ.

სხვადასხვა ქვეყნების პარლამენტების თანამშრომლობას შეუძლია გააადვილოს უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემების გადაჭრა: მას შეუძლია ხელი შეუწყოს აგრესიის ახალი კერების შექმნის პოლიტიკის შეწყვეტას. შეუძლია ხაზი გადაუსვას აგრესიული ვერმახტის აღორძინების გეგმებს, შეამსუბუქოს ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის პრობლემის გადაჭრა, აგრეთვე შეამციროს შეიარაღება და აკრძალოს მასობრივი მოსპობის იარაღი. სხვადასხვა ქვეყნების პარლამენტების თანამშრომლობა შეიძლება დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი გახდეს ხალხთა დაახლოების, საერთაშორისო საკითხების მშვიდობიანი გადაჭრისა და ეკონომიურ და კულტურულ დარგებში საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოების საქმეში.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმი, რომელმაც 1950 წლის 29 დეკემბერს კონსტიტუციის შესაბამისად და პოლონელი ხალხის ერთსულოვანი ნებით მიიღო კანონი მშვიდობის დაცვის შესახებ, მთელ თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს უცვლელი მისწრაფებით პოლონეთის, აგრეთვე სხვა ხალხების მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისადმი. ესწრაფვის რა განმტკიცოს მეგობრული თანამშრომლობა ყველა ხალხთან სუვერენიტეტის, თანასწორობისა და დამოუკიდებლობის ურთიერთპატივცემის საფუძველზე, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმი შემდგომშიც თავის წვლილს შეიტანს მშვიდობის საქმეში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეკლარაციის საპასუხოდ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმი განახორციელებს ყველა ფორმის თანამშრომლობას. აგრეთვე გააფართოებს უკვე არსებულ თანამშრომლობას სხვა ქვეყნების პარლამენტებთან, რომ ხელი შეუწყოს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და ყველა ქვეყნის მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობის განვითარებას.

მთავრობის კრიზისი საფრანგეთში

ლონდონი, 19 თებერვალი. (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტოს პარიზელი კორესპონდენტი იუწყება, პრეზიდენტმა კოტიმ მთავრობის შედგენა დაავალა რადიკალ ედგარ ფორს.

პარიზი, 20 თებერვალი. (საკდესი). მთავრობის კრიზისი საფრანგეთში გრძელდება. გუშინ ეროვნულ კრებაში გაიმართა საპარლამენტო ჯგუფების თავმჯდომარეთა სხდომა. სხდომამ განიხილა პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც შეექმნა იმის შედეგად, რომ ჩაიფუშა სოციალისტ კრისტიან პინოს ცდა შეედგინა ახალი მთავრობა.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე მეოთხე კანდიდატის შერჩევისათვის რესპუბლიკის პრეზიდენტი რენე კოტი გუშინ კვლავ ეთათბირა საპარლამენტო ჯგუფების თავმჯდომარეებს. კომუნისტთა საპარლამენტო ჯგუფის სახელით დეპუტატმა ვალდეკ როშემ პრეზიდენტს განუცხადა, რომ საფრანგეთის კომუნისტური პარტია მზად არის მხარი დაუჭიროს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს და მთავრობას, რომლებიც განახორციელებენ შემდეგ სამ ძირითად პირობას:

1. უარს იტყვიან გერმანიის შეიარაღებაზე და განახორციელებენ ალმოსავლეთთან მოლაპარაკებისა და მშვიდობის პოლიტიკას.

2. დაკმაყოფილებენ მშრომელთა მოთხოვნებს, კერძოდ, ხელფასის, დახმარებისა და პენსიის გადიდების შესახებ.

3. უარს იტყვიან ჩრდილოეთ აფრიკაში რეპრესიების პოლიტიკაზე, აღიარებენ კოლონიური ხალხების უფლებებს და დაკმაყოფილებენ მათს მისწრაფებებს.

საღამოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა მიიწვია რადიკალთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ედგარ ფორი და დაავალა მას ახალი მთავრობის შედგენა. პრეზიდენტისაგან წამოსვლისას ედგარ ფორმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ იგი საბოლოო პასუხს თანხმობის შესახებ მისცემს „რაც შეიძლება მალე“.

ახასიათებს რა ახალ კანდიდატს, გაზეთი „ლუმანიტე-დიმანში“ წერს:

პოლიტიკა, რომელსაც ფორი ახორციელებდა წინა მთავრობებში, საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ იმ პროგრამის ძირითადი შინაარსი, რომელსაც იგი წარუდგენს პარლამენტს: „ეკონომიური განვითარების“ შესახებ ლაპარაკით ცოტად თუ ბევრად დაფარული რეგრესი სოციალურ დარგში და პირიზის შეთანხმებათა რაც შეიძლება მალე რატიფიკაცია“.

მაგრამ, განაგრძობს გაზეთი, იგი წაადგება ხალხის იმავე წინააღმდეგობას, რომელსაც შედეგად მოჰყვა წინა მთავრობების ასე სწრაფი დაცემა.

გაზეთი „ჟურნალ დიუ დიმანში“ იუწყება, რომ ედგარ ფორს განზრახული აქვს „სწრაფად“ შეადგინოს ახალი მთავრობა და წარუდგინოს მისი შემადგენლობა და მთავრობის პროგრამა პარლამენტს მომავალი კვირის დამლეგს. ღღეს ფორი მოლაპარაკებას იწყებს მემარჯვენე საპარლამენტო ჯგუფების წარმომადგენლებთან.

მსოფლიო კირველობა ციგურაობაში

19 და 20 თებერვალს მოსკოვში, „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა მსოფლიო პირველობის გათამაშება ვაჟთა შორის ჩქაროსნულ ციგურაობაში. ეს შეჯიბრება წარმოადგენდა მსოფლიოს 49-ე ჩემპიონატს, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს 14 ქვეყნის უძლიერესმა მოციგურავეებმა. მათ შორის იყვნენ ევროპის 1955 წლის ჩემპიონი ს. ერიკსონი (შვეცია), მსოფლიოს და ევროპის ოთხგზის ჩემპიონი ი. ანდერსენი (ნორვეგია), ევროპის 1953 წლის ჩემპიონი კ. ბრუმანი (ჰოლანდია), ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონი 500 მეტრზე რბენაში კ. ჰენრი (აშშ). სსრ კავშირის მოციგურავეთა რიგებში იყვნენ მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებულები ო. გონჩარენკო და ბ. შილკოვი, ე. გრიშინი, ი. კისლოვი და სხვ.

შეჯიბრება საზეიმოდ გაიხსნა. გაიმართა სპორტსმენთა პარადი.

ყინულის მოედანზე პირველად გამოვიდნენ 500 მეტრზე გარბენაში მონაწილე სპორტსმენები. ამ დისტანციაზე ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა ფინელი მოციგურავე ტ. სალონენი, რომელმაც აჩვენა დრო 42,6 წამი. მეორე ადგილი დაიკავა ბ. შილკოვმა.

5.000 მეტრის გარბენაში პირველი ადგილი დაიკავა კ. ოიჰანსონმა (ნორვეგია, 8 წუთი და 33 წამი), მეორე — ს. ერიკსონმა (8 წუთი და 35,4 წამი), მესამე — ჯონ კროპშეიმ (ინგლესი, 8 წუთი და 35,9 წამი).

მეორე დღეს, 20 თებერვალს გაიმართა შეჯიბრება 1.500 და 10.000 მეტრის გარბენაში. 1.500 მეტრზე ყველაზე უკეთესი დრო აჩვენა საბჭოთა სპორტსმენმა ო. გონჩარენკომ (2 წუთი და 20,6 წამი). მეორე ადგილი დაიკავა ს. ერიკსონმა, მესამე — ბ. შილკოვმა.

დიდი ინტერესი გამოიწვია 10.000 მეტრზე რბენამ. პირველი ადგილი დაიკავა ს. ერიკსონმა (17 წუთი და 9,8 წამი).

მრავალჯიდი (4 დისტანცია) შეგროვილი ქულებით გამარჯვება და მსოფლიოს 1955 წლის ჩემპიონის წოდება ვაჟთა შორის ჩქაროსნულ ციგურაობაში მოიპოვა ს. ერიკსონმა (შვეცია, 194,996 ქულა). მეორე ადგილი დაიკავა ო. გონჩარენკომ (სსრ კავშირი, 195,831 ქულა), მესამე — ბ. შილკოვმა (სსრ კავშირი, 195,858 ქულა).

მოციგურავეთა საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტმა ბ-ნმა ჯიმს კოხმა გამარჯვებულებს გადასცა მედლები. მან მსოფლიოს ჩემპიონი ს. ერიკსონი შეამკო დაფნის გვირგვინით.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ენერგეტიკული მრეწველობის ხელმძღვანელი მუშაკები თბილისში

20 თებერვალს ერევნიდან თბილისს ჩამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ენერგეტიკული მრეწველობის ხელმძღვანელ მუშაკთა ჯგუფი, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება სსრ კავშირის ელექტროსადგურების სამინისტროს მოწვევით.

დელეგაციას მეთაურობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სათბობის მრეწველობის მინისტრის მოადგილე ლიუ ლან-ბო. დელეგაციის შემადგენლობაში არიან ჰიდროენერგომშენის მთავარი სამმართველოს უფროსი ლი ჟუი, აღმოსავლეთ ჩინეთის ჰიდრომშენის სამმართველოს უფროსი ვან სინი, ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის ჰიდრომშენის სამმართველოს უფროსი ბეან სინ-სიანი, საპროექტო ინსტიტუტის უფროსის მოადგილე ვან ლუ-ნანი, ჰიდროენერგეტიკული მშენებლობის უფროსი ხუან ტან-პუ, ჰიდროენერგომშენის ტექნიკური განყოფილების უფროსის მოადგილე ვან ბაო-ძე, ჰიდროენერგომშენის მთავარი სამმართველოს საპროექტო ინსტიტუტის მთავარი ინჟინრის მოადგილე იუი კაი-ციუანი და სხვები.

ჩინელი ენერგეტიკოსები გაეცნობიან საქართველოს ენერგეტიკული მშენებლობის გამოცდილებას. (საკდესი).

კომბინატორ-სპეკულანტთა განდის ლიკვიდაცია

საქართველოს სსრ [illegible] ტელი „ისანი“ — ჩუ [illegible] კომბინატორებმა და სპეკულანტებმა პირადი გამდიდრების წყაროდ აქციეს.

„ისნის“ საკონდიტრო საამქროს სათავეში ედგა სისხლის სამართლის სხვადასხვა დანაშაულისათვის პასუხისგებაში არაერთხელ ნამყოფი ვინმე სტეფანე სარქისიანი, ხოლო საამქროს ბრიგადირად იყო აზატ თათევოსიანი. ისინი ბორტოდ იყენებდნენ სამსახურებრივ მდგომარეობას და იტაცებდნენ არტელის ქონებას.

სარქისიანი და თათევოსიანი ყოველგვარ არამზადულ ხერხებს მიმართავდნენ იმისათვის, რომ შეექმნათ საზოგადოებრივი საკუთრების დატაცებისათვის ხელსაყრელი პირობები, აწყობდნენ ათასგვარ კომბინაციებს, აროვებდნენ რეკეტტერას, ამცირებდნენ ცალობით გასაყიდი ნამცხვრის წონას და ა. შ. ამ დანაშაულებრივი საქმიანობით ისინი დაკავშირებული იყვნენ სპეკულანტებთან პურის მე-3 ჭარხნის შოფერ მორდეხ ჯინჯიხაშვილთან და გაურკვეველი პროფესიის რუბენ ბენიაშვილთან, რომლებიც ამ კომბინატორებს ამარაგებდნენ დატაცებული საქონლით.

კომბინატორ-სპეკულანტებს სარქისიანს, ბენიაშვილს, თათევოსიანსა და ჯინჯიხაშვილს დანაშაულზე წასასწრეს იმ დროს, როდესაც მათ საქპურტრესტის მე-10 საკონდიტრო საამქროდან მოპარული 100 კილოგრამი ერბო ტაქსით გადმოჰქონდათ. ეს კომბინაცია ბორტმოქმედებმა მოაწყეს მე-10 საკონდიტრო საამქროს გამგესთან კირილე კაციტაძესთან და საამქროს საწყობის გამგე ვლადიმერ კაციტაძესთან შეთანხმებით.

დაპატიმრებისას სარქისიანის ბინაზე აღმოჩენილ იქნა მოპარული პროდუქტები — 26 კილოგრამი ნიგოზი, 10 კილოგრამი ქიშმიში, 15 კილოგრამი ვანილის ესენცია, 20 კილოგრამი თაფლი, პარაფინი და დანაშაულებრივი მიზნით გადანახული შეუვსებელი სადოკუმენტო ბლანკები.

72 კილოგრამი ვანილის ესენცია და ფიქციური საბუთების შესადგენად სუფთა ბლანკები აღმოჩნდა აგრეთვე სარქისიანის თანამონაწილე თათევოსიანის სახლში.

საამქროს აღწერისას კი გამოვლინებულ იქნა ერბოს, ზეთის, ფხვნილი შაქრის, თხილისა და სხვა მასალების დიდი დანაკლისი, ამავე დროს ზედმეტი მარგარინი, ესენცია, კვერცხი, შაქარი.

ამას წინათ თბილისის მილიციის ორგანოებმა მოახდინეს კოოპერაციული ქონების დამტაცებელ-სპეკულანტთა ამ ბანდის ლიკვიდაცია. დამნაშავენი დაპატიმრებული და პასუხისგებაში მიცემული არიან.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ბიურომ ამ დღეებში განიხილა არტელ „ისანში“ შექმნილი მდგომარეობის საკითხი. ბიურომ არტელის გამგეობის თავმჯდომარეობიდან მოხსნა და პარტიის რიგებიდან გარიცხა ა. ყურაშიძე.

რედაქტორის მოადგილე
რ. ქურციკიძე.

მეუღლე ელენე, შვილები გურამ, თამაზ ოჯახით იუწყებიან
დავით იაგორის-ძე კალანდაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23-II, 8 ს. გამოსვენება 24-II, 4½ ს. ბინიდან, ლენინის ქ. № 34.

მეუღლე სპირიდონ, შვილები ვლადიმერ, იასონ, ოლია, შურა, ავთანდილ ოჯახებით იუწყებიან
მატრონა ალექსის ასულ ფინცაკიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-II სოფელ კეთილარში (ბაშის რაიონი).

მეუღლე ნინო იუწყება
დავით ბესარიონის-ძე კაკაბაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-II სოფელ მაღლაკში.

მშობლები ვასილ, ნატაშა ოჯახით იუწყებიან
ოთარ ვასილის-ძე შარმაზანაშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23-II, 8 ს. გამოსვენება 24-II, 5 ს. პეტრიაშვილის ქ. № 30.

მეუღლე მადლენა, შვილები ზინა, ვასტანგ ოჯახებით იუწყებიან
სამუელ ლავრენტის-ძე ხონელიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 26-II, 4 ს. სოფელ პირველ მაისში (ბაშის რაიონი).

შვილები ანა, მამია, ოლია, ტასო, დარეჯანი ოჯახებით იუწყებიან
თეო დავითის ასულ ჯორბენაძე-ჭეკონიას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23-II, 8 ს. გამოსვენება 24-II, 5 ს. მონტინის ქ. № 7.

მეუღლე შუშანა, შვილები ვალია, ციალა, გურამ, ზურაბ იუწყებიან
შალვა ალექსანდრეს-ძე მარგველაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-II ქ. მახარაძეში. გამოსვენება კომკავშირის ქ. № 5.

ძმა ნიკოლოზ, დები ნინო, ვარდო ოჯახებით იუწყებიან
ოსიებ მიხეილის-ძე მგალობლიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-II სოფელ ერკეთში (ჩოხატაურის რაიონი).

დედა ეუტუ, შვილები ეთერ, მუნუნი ოჯახებით იუწყებიან
თამარ ტარასის ასულ ასათიანი-ჩხეიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-II ქ. სამტრედიაში. გამოსვენება ბინიდან, მალენკოვის № 21.

მეუღლე ალეკო, შვილი დარიკო ოჯახებით იუწყებიან
ნინო გიორგის ასულ ზაზუნაშვილი-ნადირაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-II, 5 ს. ქ. გორში. გამოსვენება რუსთაველის ქ. № 23.

კინო

ფილმი საბჭოთა მეტალურგებზე

ლენინის ორდენოსანი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მიერ უკანასკნელ წლებში გამოშვებულ კინოსურათებს შორის ერთ-ერთ მოწინავე ადგილს იკავებს კინოსურათი „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“*). მაყურებელი აღფრთოვანებით შეხვდა ამ ფილმს. ეს აღფრთოვანება გამოწვეულია იმით, რომ მაყურებელმა ეკრანზე ნახა კომუნიზმის დიადი საქმისათვის შთაგონებული საბჭოთა ადამიანების მართალი სახეები, ადამიანებისა, რომლებიც სძლევენ ყოველგვარ დაბრკოლებას, მოკლე დროში აშენებენ ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მეტალურგიულ ქალაქს, ეუფლებიან ფოლადის დნობის რთულ ტექნიკას და გმირულად დგებიან ფოლადის გამოდნობის საპატიო ვახტზე.

ფილმის წარმატებაში უთუოდ გადაწყვეტი როლი შეასრულა ოსტატურად დაწერილმა სცენარმა. სცენარის ავტორებმა შეძლეს მართალი კონფლიქტების გამონახვა, რამაც შეესაძლებელი გახადა პერსონაჟების ხასიათების რელიეფურად გამოკვეთა, დაძაბული სიტუაციებისა და ჯანსაღი განწყობილების შექმნა.

ჩვენს წინაშეა მთის საკოლმეურნეო სოფელი თავისი მომხიბლავი ბუნებით, ადამიანებით, დოვლათიანობით. ვეცნობით ამ სოფლის სიხარულს — ახალგაზრდობას. სკოლაში გამოცდები დამთავრებულა და კურსდამთავრებულები სიმწიფის ატესტატებს იღებენ. ვინ სად აპირებს წასვლას, ვინ სად. ვეფხია ხალიბაურს კი გადაუწყვეტია მეტალურგიულ ტექნიკუმში განაგრძოს სწავლა. ვეფხიას ამ გადაწყვეტილებაში სკოლასთან ერთად ცოტა წვლილი როდი მიუძღვის სოფლის მჭედელს პაპა აპარეკას, რომელთანაც შეგირდად წლების მანძილზე მუშაობდა ობოლი ვეფხია.

პაპა აპარეკას შორეული წინაპრები ერთ დროს მთაში ფოლადს ადნობდნენ, მაგრამ ეს ხელობა დიდი ხანია დავიწყებას მიეცა. პაპა აპარეკა უარჩევს ვეფხიას — წავიდეს ბარად სხვებთან ერთად და ისწავლოს ფოლადის დნობა. ასეთივე რჩევას აძლევს ჭაბუკს აპარეკას ერთადერთი შვილიშვილი ლელა. ამ ორს კარგა ხანია ერთმანეთი უყვართ. ეს სიყვარული ყველაზე მეტად თავს იჩენს განშორების წუთებში, როდესაც სასწავლებელში მიმავალი ვეფხია ლელას ეთხოვება. განშორების ეს სცენა ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია მთელ ფილმში. ამიერიდან მაყურებელი თანმხლარი ინტერესით ადევნებს თვალყურს ამ ორი ახალგაზრდის ცხოვრების გზებს. ვეფხია დათოსთან და სხვა მთიელ მეგობრებთან ერთად ჩამოვიდა ქალაქში სასწავლად ხანგრძლივი ვადით, ლელა კი მოხუც პაპასთან დარჩა მთაში.

მაყურებელს აინტერესებს, რამდენად შეასრულებენ მიჯნურები პირობას. მათ განშორების ჟამს ურთიერთს შეჰფიცეს, რომ ერთმანეთი ეყვარებათ მანამდე, სანამ მყინვარზე თოვლი არ დაილევა. ლელა ხომ მგელკასაც უყვარს, კოლმეურნეობის ფერმის გამგეს. რამდენად მტკიცედ დაუხვდება ლელა მგელკას მაცდურ შემოტევას, რამდენად სპეტაკად შეინახავს ვეფხია ლელას სიყვარულს გულში, — აი კითხვა, რომელიც ბოლომდე აინტერესებს მაყურებელს.

ამ ორი ახალგაზრდის სიყვარულით დაინტერესებული მაყურებელი ვეფხიას ხედავს ჯერ თბილისში მომავალ მეტალურგებთან ერთად, შემდეგ რუსთავის ტრამალზე, სადაც მოკლე დროში მეტალურგიული ქარხნის კოლუსები უნდა აღიმართოს.

რუსთავში გამალებით იწყება მეტალურგიული კომბინატის მშენებლობა, შორეულ უერალში მარტენის ღუმელებთან კი — ქართველი ახალგაზრდობის წრითობა. დგება სწავლის მკაცრი დღეები. მარტენის გავარვარებულ ღუმელებთან სწავლა გაცილებით უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე ეს ახალგაზრდებს ეჩვენებოდათ. მათ პირველად მარცხიც განიცადეს, ბევრი მათგანი სიძნელეების წინაშე შიშმაც შეიპყრო, მაგრამ ქარხნის მთავარი ოსტატი ვასილ ბულანოვი სწორედ იქ არის, სადაც ახალგაზრდებს უჭირთ. იგი მამაშვილურად თავს დასტრიალებს მომავალ ოსტატებს. ბულანოვმა ვეფხია ლეონიძეს ეფიცა. ვეფხიამ რუს მუშებს შორის ბევრი მეგობარი გაიჩინა. მათ შორის არიან ოსტატ ბულანოვის ქალიშვილი, მეტალურგიული ქარხნის ლაბორანტი ნასტია, მეფოლადე ბორისი.

ფილმში ჭეშმარიტი ოსტატობით, დიდი ზემოქმედების ძალით არის გადმოცემული ახალგაზრდობის პრაქტიკული სწავლის, შრომის, მეგობრობის, დასვენების და ვარჯიშის ამსახველი ეპიზოდები. ასევე დაუვიწყარია დოსტატებული ქართველი ახალგაზრდების გამომგზავრება რუს ოსტატებთან და მეგობრებთან ერთად.

როგორც კინოდრამატურგიულად, ისე რეჟისორულად კარგად არის მოფიქრებული და გადაწყვეტილი რუსი და ქართველი ხალხების ტრადიციული მეგობრობის, დიდი რუსი ხალხის, როგორც ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის ამსახველი სცენები.

რუსეთში წასული ახალგაზრდების დოსტატებასთან ერთად ფილმში მოხერხებულად არის ნაჩვენები ქალაქ რუსთავისა და მისი მეტალურგიული ქარხნის დაფუძვნება, სოციალისტური ქალაქის მშენებელთა უმაგალითო გმირობა. ყველაზე სასიხარულო ის არის, რომ ამ მშენებლობაში გარკვეული წვლილი მიუძღვის ფლიდ მგელკას მიერ ერთ დროს მოტყუებულ, მაგრამ მისი მაცდური ხრიკებისაგ